23. Thorndike, Ashley H., *The Influence of Beaumont and Fletcher on Shakespeare*. Press of Oliver B. Wood, Worcester, Massachusetts 1901.
24. Warren, R., "Introduction": *Cymbeline*. Edited by R. Warren. Oxford 1998.
25. Warren, R., "The Characters' Names" (Appendix A): *Cymbeline*. Edited by R. Warren. Oxford 1998.

26. Wells, Stanley and Taylor Gary, with John Jowett and William Montgomery, *William Shakespeare: A Textual Companion*. Clarendon, Oxford 1987.
27. აბულაძე, ი., *რუსთველოლოგიური ნაშრომები*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1967. /Abuladze, I., *Studies of Rustaveli*. Tbilisi University Press, Tb. 1967
28. ჩიქოვანი, გ., „ავთანდილის ეტიმოლოგიისათვის“: *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, VIII*, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2014. /Chiqovani, G., “Towards the Etymology of Avtandil”: *Near East and Georgia, VIII*, Ilia State University, Tb. 2014.
29. ხინთიბიძე, ე., *ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო*. „ქართველოლოგი“, თბ., 2009 / *The World View of Rustaveli's Vepkhistqaosani (The Man in the Panther Skin)*, “Kartvelologi”, Tbilisi 2009.
30. ხინთიბიძე, ე., „ვეფხისტყაოსანი - შექსპირის ლიტერატურული წყარო“: ჟურნ. *ქართველოლოგი* #19, თბ., 2013. /“*The Man in the Panther Skin – Shakespeare's Literary Source*”: *The Kartvelologist* №19 , Tbilisi 2013.

ქართულ–ისლანდიური ლიტერატურული ურთიერთობები

მიხაელა კრეცოვა

ფილოლოგიის მაგისტრი სკანდინავისტიკაში (ვენის უნივერსიტეტი); ისლანდიის უნივერსიტეტის ბაკალავრი.

რეზიუმე: როგორია ლიტერატურული ურთიერთობები ისეთ ორ პატარა ქვეყანას შორის, როგორც საქართველო და ისლანდია – ერთმანეთისგან ძალიან დაშორებული, მეტად განსხვავებული ენებით, კულტურითა და ისტორიით? ამ ორ კულტურას შორის არსებული დიდი მანძილისა და განსხვავებების მიუხედავად, გარკვეული ლიტერატურული კავშირი მაინც არსებობს მათ შორის. მართალია, რომ ხსენებულ ლიტერატურულ კავშირებს დასაბამი პირველად მე-20 საუკუნეში მიეცა, მაგრამ მას შემდეგ ორივე ენაზე მრავალი ნაწარმოები ითარგმნა. წინამდებარე სტატიის მიზანია, აქცენტირება საქართველოსა და ისლანდიას შორის არსებულ ლიტერატურულ ურთიერთობებზე: პროზაული ნიმუშების, მათი თარგმანების და ამ თარგმანთა მიღება–მოწონების კუთხით.

საკვანძო სიტყვები: *ლიტერატურული კავშირები, საქართველო, ისლანდია, ისლანდიური საგები, ჰალდორ ლაქსნესი.*

რამდენადაც ცნობილია, საქართველოსა და ისლანდიას შორის პირველ ლიტერატურულ კონტაქტებს საფუძველი მაშინ ჩაეყარა, როდესაც ისლანდიელი მწერალი და ნობელის პრემიის ლაურეატი ჰალდორ ლაქსნესი (Halldór Laxness) 1937 წელს საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს საქართველოში ჩამოვიდა. 1937 წლის დეკემბერში იგი მოიწვიეს შოთა რუსთველისადმი მიძღვნილ კონგრესზე, სადაც იგი 27 დეკემბერს სიტყვით

გამოვიდა. მის მიერ წარმოთქმული სიტყვა, ქართულად ნათარგმნი და კომენტირებული გამოქვეყნდა ქართულ გაზეთ *კომუნისტში*, კერძოდ, სტატიაში *სკანდინავიის მწერალ ჰალდორ ლაქსნესის სიტყვიდან* [1]. მან თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველო ან ისლანდია, საკუთარი ენის ქონა უაღრესად მნიშვნელოვანია. მან აგრეთვე დასძინა, რომ ერთ-ერთი, რაც საქართველოსა და ისლანდიას საერთო გააჩნიათ, ეს მათი „ოქროს საუკუნეა“, კერძოდ, საქართველოში *ვეფხისტყაოსნის* შექმნა და ისლანდიაში საგას ჩაწერა თითქმის ერთსა და იმავე დროს მოხდა. ლაქსნესმა საქართველოში მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილება აღწერა საბჭოთა კავშირის შესახებ დაწერილ წიგნებში: *On Eastern Roads (Gerska ævintýrið)* [2] (გამოქვეყნდა 1938 წელს) და *Poets' Time (Skáldatími)*, რომელიც 1963 წელს გამოიცა. მან ხოტბა შეასხა ქართულ კულტურას, რომლის შესახებაც ბევრი იცოდა. მწერალმა აღნიშნა, რომ მას *ვეფხისტყაოსანი* ფრანგულ თარგმანში ჰქონდა წაკითხული. თავის წიგნში *On Eastern Roads* *On* ლაქსნესმა გამოთქვა სურვილი, სწვეოდა საქართველოს: „საქართველო საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, რომლის გაცნობაც ყველაზე მეტად მსურს, არა მხოლოდ მისი განსაკუთრებული ადგილმდებარეობის გამო დასაველეთა და აღმოსავლეთს შუა, არამედ იმის გამოც, რომ საქართველო არის ერთადერთი საბჭოთა რესპუბლიკა, რომელსაც ძველ დროში დიდი კულტურა გააჩნდა“ [3, გვ. 109].

ლაქსნესის ნაწარმოებების თარგმანთა მიმოხილვები გვიჩვენებს, რომ მას საქართველოში ძალიან გულთბილად დახვდნენ. მაგალითად, აკაკი გელოვანი *Independent People*-ის თარგმანის მიმოხილვაში მას „ჩვენი ქვეყნის დიდ მეგობარს“ [4] უწოდებს. ჰალდორ ლაქსნესი იყო ერთ-ერთი პირველი ისლანდიელი მწერალი, რომლის ნამუშევრებიც ქართულად ითარგმნა. ამავდროულად, საქართველოში ისლანდიელ მწერალთა ნაწარმოებებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ მისი ნაწარმოებები თარგმნეს.

პირველი ისლანდიური ლიტერატურული ნაწარმოებები ქართულად იყო ლაქსნესის მოთხრობები *Lilja and Napoleon Bonaparte (Napóleon Bónapart)* და *The Padlock (Hengilásinn)*, Ólafur Jóhann Sigurðsson-ის *Covert Business (Dulið erindi)*. დასახელებული მოთხრობები 1961 წელს *Scandinavian Short Stories*-ის კრებულში

(ანთოლოგიაში) გამოქვეყნდა [5]. ეს კრებული თინათინ კოპლატაძემ თარგმნა, დაიბეჭდა 30000 ეგზემპლარად. 1968 წელს 20000 ეგზემპლარად ცალკე გამოიცა *Napoleon Bonaparte* [6].

ამას მოჰყვა თარგმანები ჰალდორ ლაქსნესის შემდეგი ნოველებისა: *The Atom Station (Atómstöðin)* [7], თარგმანი ჯემალ ქარჩხაძისა და დავით წერეთლისა, 1965წ. (10000 ეგზემპლარი); *Iceland's Bell (Íslandsklukkan)*[8]– აკაკი გელოვანის თარგმანი, 1966 წ. (25000 ეგზემპლარი); შემდეგი იყო *Independent People (Sjálfstætt fólk)*[9] - ნინო სამუკაშვილის თარგმანი (40000 ეგზემპლარი). ჰალდორ ლაქსნესის შემოქმედების ქართული თარგმანები შედარებით მრავალრიცხოვნად შეიძლება ჩაითვალოს იმის ფონზე, რომ მეზობელ სომხეთში მხოლოდ ორი ნოველა ითარგმნა – *Iceland's Bell* (1989) და *Independent People* (1967), ხოლო აზერბაიჯანულად კი მხოლოდ ერთი მოთხრობის *A bird on the fence post (Fugl á garðstaurunum)*–ის თარგმანი შესრულდა 1973 წელს [იხ. 10, გვ. 35].

ქართულად თანამედროვე ისლანდიურ ლიტერატურის გარდა ძველი ისლანდიური ლიტერატურის ნიმუშებიცაა თარგმნილი. მაგალითად, *Poetic Edda* [11]–ს თარგმანი პოეტ გიორგი კალანდაძის მიერ (4000–იანი ტირაჟი); *Poetic Edda*-დან ორი პოემა ჟურნალებშიც დაიბეჭდა: 1967 წელს „მნათობში“ - *Second Lay of Helgi Hundingsbane (Helgakviða hundingsbana II)*[12], ხოლო 1969 წელს „საქართველოს ქალში“ - *The Spell of Gróa (Gróagaldur)* [13].

1977 წელს გამოიცა გიორგი ჯაბაშვილისეული თარგმანი *The Story of Burnt Njáll (Brennu Njáls saga)* (20000-იანი ტირაჟით)[14]. ჩემი აზრით, ამ წიგნის თარგმანი შესრულებული იყო ისლანდიური დედნიდან, კერძოდ ძველი ისლანდიურიდან. ეს წიგნი გახლდათ პირველი პირდაპირი თარგმანი, შესრულებული უშუალოდ ისლანდიური ენიდან. ეს გამონაკლისის წარმოადგენდა: თარგმანების უმრავლესობა შესრულებული იყო არა უშუალოდ ისლანდიურიდან, არამედ რუსულიდან ან გერმანულიდან. გრიგოლ მაჭავარიანი იყო პირველი, ვინც უშუალოდ თანამედროვე ისლანდიურიდან თარგმნა ქართულად.

ჩემი დაკვირვების თანახმად 1977 წლიდან 1992 წლამდე ისლანდიურ-ქართულ მთარგმნელობით პროცესში ერთგვარ წყვეტას ჰქონდა ადგილი. 1992 წელს, გრიგოლ მაჭავარიანმა, ისლანდიის ქართველმა მოტრფიალემ, რომელმაც ისლანდიური

დამოუკიდებლად შეისწავლა, Ágústína Jónsdóttir[15, გვ. 4]–თან გასაუბრების საფუძველზე გამოაქვეყნა თარგმანები შემდეგი მოთხრობებისა: Halldór Stefánsson-ის *Julius (Július)* და *Snoring (Hrotur)*, Jónas Hallgrímsson-ის *Shankbone and Seashell (Leggur og skel)*. სამწუხაროდ, უცნობია, თუ სად გამოქვეყნდა ეს თარგმანები. იმავე წელს გრიგოლ მაჭავარიანმა ყველაზე დიდ ისლანდიურ გაზეთს - *Morgunblaðið*-ს, მისწერა წერილი, რომელშიც აღწერა მის მიერ დასახული რთული ამოცანა, ესწავლა ისლანდიური მასწავლებლის ან ისლანდიელებთან კონტაქტის გარეშე, მარტოოდენ რუსულ-ისლანდიური ლექსიკონის დახმარებით. ეს წერილი 1992 წლის 24 ოქტომბერს გამოქვეყნდა[16], რასაც ისლანდიაში გარკვეული დაინტერესება მოჰყვა. იგი პრემიერ-მინისტრმა Davíð Oddsson-მა მიიწვია ისლანდიაში, სადაც მან რამდენიმე თარგმანზე მუშაობას მოჰკიდა ხელი. სამწუხაროდ, 1996 წელს გრიგოლ მაჭავარიანი 33 წლის ასაკში გარდაიცვალა. მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ, 1997 წელს გამოქვეყნდა მისი თარგმანი კრებულისა - *Six Icelandic Sagas (Sex íslenskar sögur)*[17], რომელიც შეიცავს ექვს მომცრო საგას, ესენია: *ook of Icelanders (Íslendingabók Ara fróða)*, *The Tale of the Story-Wise Icelander (Íslendinga þáttur sögufróða)*, *The Saga of Helgi Hallvarðsson (Helga saga Hallvarðssonar)*, *The Tale of Sigurður from Borgarfjord (Sigurðar þáttur borgfirska)*, *The Saga of Gunnlaug Serpent-Tongue (Gunnlaugs saga ormstunga)* და *The Saga of the Greenlanders (Grænlandinga saga)*. იმავე წელს დაიბეჭდა Þórhallur Guttormsson-ის მიერ დაწერილი Jón Arason-ის ბიოგრაფიის - *The Last Catholic Bishop (Jón biskup Arason)*[18] - გრიგოლ მაჭავარიანისეული თარგმანიც. თუმცა, მისი ეგზემპლარების რაოდენობა უცნობია.

საინტერესოა ისლანდიის სახე, რომელიც ისლანდიური ლიტერატურის შესახებ ტექსტებსა და ისლანდიურიდან შესრულებულ თარგმანებშია აღწერილი.

როგორც ჩანს, საქართველოში ისლანდიის შესახებ მცირე ინფორმაცია მოიპოვებოდა, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში. ეს წყაროები შემოიფარგლებოდა ჰალდორ ლაქსნესის მიერ საქართველოში ყოფნის დროს გაკეთებული განცხადებებით, რამდენიმე უცხოური წიგნითა და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, რუსი მეცნიერის, Mikhail I. Steblin-Kamenskij-ის პუბლიკაციებით. ეს უკანასკნელი ისლანდიურ ლიტერატურაზე არსებულ ქართულ ტექსტებში ხშირად არის ციტირებული.

ამგვარი ვითარების გამო, ისლანდიის სახე ხატი ქართულ ტექსტებში სავსებით არარეალური, მეტად იდეალიზებული და ეგზოტიკური იყო. ისლანდიელები აღწერილნი არიან როგორც მხურვალე მკითხველები და პოეტები; ისლანდიური ლიტერატურის შესახებ დაწერილ თითქმის ყოველ ტექსტში რამდენიმეჯერ მაინც არის ნახსენები ისლანდიური საგა მამინაც კი, თუ განსახილველი ტექსტი თანამედროვე ლიტერატურის ნიმუშია.

როგორც ჩანს, ისლანდიის შესახებ ქართული ტექსტების უმრავლესობა ისლანდიით აღტაცებას აღბეჭდავს, უმთავრესად ეს უკავშირდება დანიისგან დამოუკიდებლობისათვის ისლანდიელთა ბრძოლას და მათ სურვილს, დაიცვან, შეინარჩუნონ საკუთარი ენა და ლიტერატურა. ამ მხრივ პარალელი შეგვიძლია გავავლოთ საბჭოთა კავშირში საქართველოს ბრძოლებთან, რომელიც დამოუკიდებლობისა და ქართული ენის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად. ეს ტენდენცია (მიდრეკილება) საქართველოში ჰალდორ ლაქსნესის ნამუშევრების მოწონებაშიც შეგვიძლია დავინახოთ. გარკვეული დროის განმავლობაში ლაქსნესი საბჭოთა კავშირისა და კომუნისტური პოლიტიკური შეხედულებების დიდი მოტრფიალე გახლდათ. ზოგიერთი მისი ნაწარმოები საბჭოთა კავშირში დიდი მოწონებით სარგებლობდა და სოციალისტური რეალიზმის პრინციპების თანახმად განიმარტებოდა. რუსული ლიტერატურის ისლანდიელი სპეციალისტი და რუსული ენიდან მთარგმნელი, არნი ბერგმანი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში ისლანდიის რეპუტაცია თავისუფალი იყო კაპიტალისტური დასავლური ქვეყნების შესახებ არსებული სტერეოტიპებისგან [იხ. 19, გვ. 77] და ამის შემჩნევა საქართველოში ისლანდიური ლიტერატურის თარგმნის მოწონებაშიც შეიმჩნევა. მაგალითად, ჰალდორ ლაქსნესის ნამუშევართა თარგმანების შესახებ ტექსტებში კრიტიკოსები და მთარგმნელები ყურადღებას ამახვილებდნენ არა იმდენად სოციალისტური რეალიზმის არსიდან გამომდინარე ნაწარმოების ახსნა-განმარტებაზე, არამედ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე, ადამიანთა ბრძოლაზე. ისლანდიის ეს სახე უმეტესად ისლანდიური ლიტერატურის შესახებ რამდენიმე ქართულ თანამედროვე ტექსტშიც არის შენარჩუნებული. ქართულ-ისლანდიური ლიტერატურული ურთიერთობების ნიმუშები რიცხობრივად მცირე იყო: ერთადერთი ისლანდიელი, რომელმაც

ქართულიდან თარგმნა იყო Friðrik Þórðarson, უნივერსიტეტის პროფესორი ოსლოში. Þórðarson-ი უმთავრესად ლინგვისტი გახლდათ, მან გამოაქვეყნა მთელი რიგი სტატიებისა ოსური და ქართული ენების შესახებ. მას ეკუთვნის რამდენიმე ქართული ნაწარმოების ისლანდიური თარგმანი: „ქართლის ცხოვრების“[20] ერთი თავი სკანდინავიელებზე - *væringjar* (*ვარანგიები*), მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა *ემშაკის ქვა* (*Steinn Satans*), რომელიც 2001 წელს ჟურნალ *Jón á Bægisá*-ში გამოქვეყნდა[21].

გრიგოლ მაჭავარიანმა ისლანდიელი პოეტის Pjetur Hafsteinn Lárusson-ის დახმარებით თარგმნა *წამებად წმიდისა მუშანიკისი დედოფლისა* (*Píslarvætti hinnar heilögu Sjúsanikar drottningar*)[22], რომელიც 1996 წელს გამოქვეყნდა, და აგრეთვე რამდენიმე მოთხრობაც, რომელიც მისი მეუღლის, ირმა მაჭავარიანის თარგმანებთან ერთად დაიბეჭდა ჟურნალ *Jón á Bægisá*-ში 2001 წელს. ამ თარგმანებში იყო ილია ჭავჭავაძის *სარჩობელაზედ* (*Í gálganu*), გიორგი ლეონიძის *ნატვრის ხე* (*Óskatréd*), რევაზ მიშველაძის *აპლოდისმენტი* (*Klapp*) და *გამოცანა* (*Praut*) [23]. ამათგან პირველი ორი თარგმანი გრიგოლ მაჭავარიანს ეკუთვნის, ხოლო დანარჩენი კი - მის მეუღლეს. ჟურნალ *Jón á Bægisá*-ს იმავე ნომერში დაიბეჭდა მოკლე სტატია ქართული ლიტერატურის ისტორიასა და პერიოდიზაციაზე. ამ უკანასკნელს თან ერთვის ქართველი მწერლებისა და მთარგმნელების შესახებ მცირე ცნობებიც.

ეს მოთხრობები რამდენიმე სხვა მოთხრობასთან ერთად Pjetur Hafstein Lárusson-ის გვერდზეც (*Ljóðheimar og sagna*) გამოქვეყნდა სახელწოდებით *Smásögur frá Georgíu* (*მოთხრობები საქართველოდან*): ჟურნალ *Jón á Bægisá*-ში გამოქვეყნებული მოთხრობების გარდა აქ იყო ჭოლა ლომთათიძის *გრამაფონი* (*Grammófoninn*), აკაკი წერეთლის *ორი ოცნება* (*Tveir draumar*) და ვაჟა-ფშაველას *გასამართლებული ჩიბუხი* (*Dæmd reykiarpípa*)[24], რომელთა თარგმანები გრიგოლ მაჭავარიანს ეკუთვნის. *გასამართლებული ჩიბუხი* 1999 წლის 4 დეკემბერს გაზეთ *Morgunblaðið*-შიც დაიბეჭდა[25]. საქართველოსა და ქართული ლიტერატურის შესახებ უმთავრეს ისლანდიურ ტექსტს ლაქსნესის მიერ აღწერილი საქართველოში ყოფნა წარმოადგენს, რომელიც ასახულია წიგნებში *On Eastern Roads* და *Poets' Time*. აქ იგი შუა საუკუნეების ქართულ ეპიკურ პოემა *ვეფხისტყაოსანსაც* ახსენებს და ხოტბას ასხამს მას:

დიადი კულტურის ქართული ნაწარმოები, *ვეფხისტყაოსანი* არის [...] სრული აღორძინება დასავლურ აზროვნებაში, ამავე დროს იგი ნასაზრდოები და გაჯერებულია ელინური გავლენით, პოეტური და ფილოსოფიური აზროვნების ბერძნული სკოლებით[26, გვ. 114]. 1956 წელს ისლანდიელ მწერალთა დელეგაციამ საბჭოთა კავშირში იმოგზაურა. მოგზაურობის მარშრუტში საქართველოს მონახულებაც შედიოდა. ამ დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა, მწერალმა Agnar Þórðarson-მა გამოაქვეყნა წიგნი *Called in the walls of Kremlin (Kallað í Kremlarmúr)*, რომელშიც ის აღწერს დელეგაციის მოგზაურობას მთელ საქართველოში, ასევე სუფრას ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში[იხ. 27, გვ. 56].

საქართველოს დეტალური დახასიათება ნაწილობრივ პრო-საბჭოური იდეოლოგიის გავლენით, 1981 წელს *Fréttir frá Sovétríkjunum*-ში გამოჩნდა. *Fréttir frá Sovétríkjunum*-ი ისლანდიასა და საბჭოთა კავშირს შორის კულტურული ურთიერთობების საზოგადოების ჟურნალი გახლდათ. 1981 წლის სექტემბერში სწორედ ამ საზოგადოებამ გამართა საქართველოს დღეები (*Grúsiudagar*), რომლის განმავლობაშიც ისლანდიაში ქართული ხელოვნების ნიმუშების გამოფენა მოეწყო. საქართველოდან მიიწვიეს ხელოვანთა დელეგაცია განათლების მინისტრის, ოთარ კიკნაძის, ხელმძღვანელობით. დელეგაციის ვიზიტის შესახებ ერთ-ერთ ქართულ გაზეთში დაიბეჭდა მინისტრის ინტერვიუ, სადაც იგი ისლანდიასთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებებს აღწერს[28].

ბიბლიოგრაფია:

1. „სკანდინავიის მწერალ ჰალდორ ლაქსნესის სიტყვიდან“, *კომუნისტი*, #31. დეკემბერი, 1937.
2. Laxness, Halldór. *Skáldatími*. Helgafell, Reykjavík 1963.
3. Laxness, Halldór. *Gerska ævintýrið*. Helgafell, Reykjavík 1983.
4. გელოვანი, აკ. „დამოუკიდებელი ადამიანები“. *ლიტერატურული საქართველო*, #11, 1969.
5. *სკანდინავიური მოთხრობები*. (თარგმანი თინათინ კოპლატაძისა), „საბჭოთა მწერალი“, თბილისი 1961.

6. Laxness, Halldór. *Napoleon Bonaparte. ერთი მოთხრობის ბიბლიოთეკა.* (თარგმანი თინათინ კოპლატაძისა), „ნაკადული“, თბილისი 1968.
7. Laxness, Halldór. *ატომის სადგური* (თარგმანი ჯემალ ქარჩხაძისა და დავით წერედიანისა), „ნაკადული“, თბილისი 1965.
8. Laxness, Halldór. *ისლანდიის ზარი* (თარგმანი აკაკი გელოვანისა), „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი.
9. Laxness, Halldór. *დამოუკიდებელი ადამიანები* (თარგმანი ნინო სამუკაშილისა), „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1968.
10. Sigurðsson, Haraldur, Helgadóttir, Sigríður and Sævarsson, Jökull. *Skrá um rit Halldórs Laxness á íslensku og erlendum málum*: Retrieved April 29, 2015
http://www.islit.is/media/pdf/HKL_ritaskra.pdf
11. *უფროსი ედა* (თარგმანი გიორგი კალანდაძისა). „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1971.
12. *უფროსი ედა. Helgakviða hundingsbana* II. „მნათობი“ # 4: 118-124, 1967.
13. *უფროსი ედა. Groagaldr.* „საქართველოს ქალი“, #1: 13-14; 1969.
14. *ნიალის საგა.* 1977. (თარგმანი გიორგი ჯაბაშვილისა), „ნაკადული“, თბილისი 1977.
15. Jónsdóttir, Ágústína. Straumhvörf í lífi mínu [Interview with Grigol Machavariani]. *Lesbók Morgunblaðsins*. 22. May, p. 4. 1993.
16. Matchavariani, Grigol. Dreymir mig fránu Fjallkonuna. *Morgunblaðið*. 24. October, p. 48. 1992.
17. *ექვსი ისლანდიური საგა - Sex íslenskar sögur.* (თარგმანი გრიგოლ მაჭავარიანისა), თბილისი 1997.
18. Guttormsson, Þórhallur. *უკანასკნელი კათოლიკე ეპისკოპოსი.* (თარგმანი გრიგოლ მაჭავარიანისა), თბილისი 1997.
19. Bergmann, Árni. Við staðleysu tak þú minni: Halldór Laxness, Rússland og draumar um fagurt mannlíf. *Tímarit Máls og menningar* 74:2: 70-79. 2013.
20. Þórðarson, Friðrik. Væringjaspjall. *Grikkland ár og síð*, pp. 313-321. Edit. Sigurður A. Magnússon, Kristján Árnason, Þorsteinn Þorsteinsson and Guðmundur J. Guðmundsson. 2. edition. Hið íslenska bókmenntafélag, Reykjavík 2001.
21. Javakhishvili, Mikheil. Steinn Satans. Translated by Friðrik Þórðarson. *Jón á Bægisá* 6 (December): 15-26. 2001.

22. Khutesi, Jakob. *Píslarvætti hinnar heilögu Sjúsanikar drottningar*. Translated by Grigol Machavariani. Fjölvaútgáfan, Reykjavík 1996.
23. *Jón á Bægisá* 6, December 2001.
24. *Ljóðheimar og sagna vefsíða Pjeturs Hafsteins Lárussonar*. Smásögur frá Georgíu. Retrieved May 12, 2015.
<http://www.internet.is/pjetur/geor.html>.
25. Pshavela, Vaja. Dæmd reykjarpípa. *Lesbók Morgunblaðsins*. 4. December, p. 14. 1999.
26. Laxness, Halldór. *Gerska ævintýrið*. Helgafell, Reykjavík 1983.
27. Þórðarson, Agnar. *Kallað í Kremlarmúr*. Almenna bókafélagið, [Reykjavík] 1978.
28. „კეთილი მისიით“ (ინტერვიუ ოთარ კვიციანი), *კომუნისტი* #27, სექტემბერი 1981.

Georgian - Icelandic Literary Relations

Michaela Krejčová

Mag. phil. in Scandinavian Studies (University of Vienna); BA in Icelandic as a second language (University of Iceland).

Abstract: What are the literary relations between two small countries, like Georgia and Iceland, which are very far one from each other, with very different languages, cultures and histories? Despite the great distance and the differences between those two cultures, some literary contacts between Georgia and Iceland exist. Although my research shows that the literary contacts started first in the 20th century, numerous works have been translated. This article is focused on the literary relations between Georgia and Iceland in the fields of translation of literary fiction and the reception of those translations in both countries.

Keywords: *Literary contacts; Georgia; Iceland; Icelandic sagas; Halldór Laxness*

The first literary contacts between Georgia and Iceland started, as far as it is known, when Icelandic writer and Nobel Prize laureate Halldór Laxness travelled to Georgia during his trip to the Soviet Union in 1937. Laxness was invited to take part in a congress dedicated to Shota Rustaveli in December 1937, and he held a speech there on 27th December 1937. His speech in Georgian translation was published and commented upon in the Georgian newspaper *Komunisti* in the article "Skandinaviis mtseral Saldor [sic] Laksnesis sitqvidan"[1]. In his speech Laxness

mentioned that it is very important for small nations like Georgia or Iceland to have their own language, and he also noted that one of the things that Georgia and Iceland have common is that their "golden age"- in Georgia the time when *The Man in the Panther Skin* was written and in Iceland when the sagas were written down- was approximately at the same time. Laxness described his travel experience in Georgia in his books about the Soviet Union, *On Eastern Roads (Gerska ævintýrið)*[2], published in 1938 and *Poets' Time (Skáldatími)*, published in 1963. He was well informed about Georgian culture; he praised Georgian culture and mentioned, that he had read *The Man in the Panther Skin* in French translation. In his book *On Eastern Roads* Laxness expressed his desire to visit Georgia: "Georgia is one of the countries in the Soviet Union that I wanted to become acquainted with the most, not only because of its unique location between the East and the West, but also because Georgia is the one Soviet republic that has had a high culture in ancient times" [3, p. 109].

Laxness was welcomed in Georgia in a very cordial manner, as the reviews of translations of his writings shows. For example Akaki Gelovani called Laxness in his review of the translation of *Independent People* "the great friend of our country"[4]. Halldór Laxness was one of the first Icelandic authors whose works were translated into Georgian, and at the same time he was the most translated Icelandic author in Georgia.

The first works of Icelandic literature translated into Georgian were Halldór Laxness' short stories *Lilja* and *Napoleon Bonaparte (Napóleon Bónapartí)* and *The Padlock (Hengilásinn)* and *Covert Business (Dulið erindi)* by Ólafur Jóhann Sigurðsson, which were published in the anthology *Scandinavian Short Stories (Skandinaviuri motkhrobbi)* in 1961[5]. This anthology was translated by Tinatin Koplataдзе and printed in 30000 copies. "Napoleon Bonaparte" was also published separately in 1968 in 20000 copies [6].

After this followed translations of three novels written by Laxness: *The Atom Station (Atómstöðin)*[7] translated by Jemal

Karchkhadze and Davit Tserediani, 1965, (10000 copies); *Iceland's Bell* (*Íslandsklukkan*)[8] translated by Akaki Gelovani, 1966 (25000 copies). In 1968 there followed the translation of *Independent People* (*Sjálfstætt fólk*)[9] translated by Nino Samukashvili (40000 copies). That Georgian translations of Laxness' literary works are relatively large in number can be seen by the fact that in the neighbouring republic Armenia only two novels were translated - *Iceland's Bell* (1989) and *Independent People* (1967) and in Azerbaijan only the short story *A bird on the fence post* (*Fugl á garðstaurunum*) in 1973 [see: 10, p. 35]

But not only modern Icelandic literature was translated; there were also translations of Old Icelandic literature, such as the *Poetic Edda* (1977)[11] translated by poet Giorgi Kalandadze (4000 exemplars). At least two poems from the *Poetic Edda* were also published in journals: *Second Lay of Helgi Hundingsbane* (*Helgakviða hundingsbana II*)[12] was published 1967 in the journal „Mnatobi“, and *The Spell of Gróa* (*Gróagaldur*) [13] in the journal „Sakartvelos kali“ in 1969.

In 1977 Giorgi Jabashvili's translation of *The Story of Burnt Njáll* (*Brennu Njáls saga*)[14] was published with a print run of 20,000. This book was, according to my research, the first direct translation from Icelandic (In this case Old Icelandic) into Georgian. This was an exception: most of the translations were not translated directly from Icelandic, but rather from Russian or German. The first person to translate directly from modern Icelandic into Georgian was Grigol Machavariani.

After 1977 there was, as my findings indicate, a break in translations until 1992. In 1992 Grigol Matchavariani, a Georgian admirer of Iceland who had taught himself Icelandic, published, according to an interview with Ágústína Jónsdóttir [15, p. 4], translations of the short stories *Julius* (*Júlíus*) and *Snoring* (*Hrotur*) by Halldór Stefánsson, and *Shankbone and Seashell* (*Leggur og skel*) written by Jónas Hallgrímsson, but it was not possible to find in which journal they were published. In the same year Grigol Matchavariani wrote a letter to the largest Icelandic newspaper,

Morgunblaðið, in which he described his struggle to learn Icelandic without any teacher or contact to Icelanders, using only a Russian-Icelandic dictionary. This letter was published on 24 October 1992 [16] and it caused a small sensation in Iceland. Grigol Matchavariani was invited to Iceland by Prime Minister Davíð Oddsson and started working on some translations during his stay there. Unfortunately Grigol Matchavariani died in 1996 at the age 33. Only after his death, in 1997, were his translations *Six Icelandic Sagas (Sex íslenskar sögur)*[17] published, which is an anthology of six shorter Icelandic sagas: *Book of Icelanders (Íslendingabók Ara fróða)*, *The Tale of the Story-Wise Icelander (Íslendinga þáttur sögufróða)*, *The Saga of Helgi Hallvarðsson (Helga saga Hallvarðssonar)*, *The Tale of Sigurður from Borgarfjord (Sigurðar þáttur borgfirski)*, *The Saga of Gunnlaug Serpent-Tongue (Gunnlaugs saga ormstunga)* and *The Saga of the Greenlanders (Grænlandinga saga)*. In the same year his translation of Þórhallur Guttormsson's biography of Jón Arason *The Last Catholic Bishop (Jón biskup Arason)*[18] was also published, although the number of copies is unknown.

An interesting aspect is the image of Iceland described in texts about Icelandic literature and in translations from Icelandic. There were probably not many sources of information about Iceland in Georgia, especially during the Soviet period. The few sources of information about Iceland were limited to statements made by Halldór Laxness during his stay in Georgia, some few foreign books, and most importantly the publications of Russian scholar Mikhail I. Steblin-Kamenskij, who is often cited in Georgian texts about Icelandic literature. Because of this situation, the image of Iceland in Georgian texts was quite unrealistic and very romantic and exotic. Icelanders are described as passionate readers and poets; in almost every text about Icelandic literature there is at least some mention of Icelandic sagas, even when the text under discussion is a work of modern literature.

Most Georgian texts about Iceland appear to express admiration for Iceland, especially with regards to Icelanders'

struggle for their independence from Denmark and their will to preserve their own language and literature, which could be seen as a parallel to Georgian struggles for independence and the preservation of the Georgian language in the Soviet Union. This tendency can also be found in the reception of the works of Halldór Laxness in Georgia. Laxness was for some period a great admirer of the Soviet Union and of communist politics. Some of Laxness' works were very popular in the Soviet Union and were interpreted according to the principles of social realism. Icelandic specialist of Russian literature and translator from Russian Árni Bergmann points out that in the Soviet Union Iceland received exemption from the negative clichés about capitalist western countries [see: 19, p. 77] and this tendency could be seen also in the reception of the translation of Icelandic literature in Georgia. For example, in texts treating translations of Halldór Laxness' works the reviewers and translators focused not so much on the interpretation of his work in the spirit of social realism, but instead on the fight for independence and struggle of individuals. This image of Iceland is also for the most part preserved in the few contemporary Georgian texts about Icelandic literature.

Georgian-Icelandic literary relations have been small in number: the only Icelander to have translated from Georgian was the university professor in Oslo, Friðrik Þórðarson. Þórðarson was mainly a linguist, and published a number of articles about the Ossetian and Georgian languages. But he also translated into Icelandic a chapter from the *History of Georgia (Kartlis tskhovreba)* [20] about nordic men - *væringjar (varangebi)* - and also the short story *Devil's Stone (Steinn Satans)* by Mikheil Javakhisjvili, published 2001 in the translators' journal *Jón á Bægisá* [21].

Grigol Matchavariani translated, with the help of Icelandic poet Pjetur Hafsteinn Lárusson, the book *Martyrdom of the Holy Queen Shushanik (Píslarvætti hinnar heilögu Sjúsaníkar drottningar)*[22], which was published in 1996, as well as a few short stories, which were published together with translations by his wife Irma Matchavariani in the journal *Jón á Bægisá* in 2001.

Those short stories comprised Ilia Chavchavadze's *On the gallows* (*Í gálganum*), Giorgi Leonidze's *Wishing Tree* (*Óskatréð*) translated by Grigol Matchavariani, and Revaz Mishveladze's *Applaus* (*Klapp*) and *Riddle* (*Þraut*) [23] translated by Irma Matchavariani. In the same number of *Jón á Bægisá* a short article was also published about the history and periodization of Georgian literature, along with short information about the Georgian authors and the translators.

Those short stories along with a few others were also published on the homepage of Pjetur Hafstein Lárusson *Ljóðheimar og sagna* under the title *Smásögur frá Georgíu* (*Short Stories from Georgia*): in addition to short stories published in *Jón á Bægisá* were published here Chola Lomtadze's *Gramophone* (*Grammófónninn*), Akaki Tsereteli's *Two Dreams* (*Tveir draumar*) and Vaja Pshavela's *Sentenced Smoking Pipe* (*Dæmd reykjarpípa*) [24] – all translated by Grigol Machavariani. *Sentenced Smoking Pipe* was also published in the newspaper *Morgunblaðið* on 4 December 1999 [25].

The foremost text in Icelandic about Georgia and Georgian literature is Laxness' description of his stay in Georgia in the books *On Eastern Roads* and *Poets' Time*. Here he also describes and praises the Georgian medieval epic poem *The Knight in the Panther Skin*:

„The Georgian work of high culture, The man in the Panthers skin is [...] an absolute resurgence phenomenon in the western understanding, it is at the same time inspired and permeated by Hellenic influences, Greek schools of thought in poetry and philosophy“ [26, p. 114].

In 1956 a delegation of Icelandic writers traveled to the Soviet Union, their itinerary including a visit to Georgia. One of the members of this delegation, writer Agnar Þórðarson published a book *Called in the walls of Kremlin* (*Kallað í Kremlarmúr*) in which he describes their journey around Georgia, including a supra in Vaja Pshavela's house [see: 27, p. 56].

Detailed descriptions of Georgia, although not completely free of pro-Soviet propaganda, appeared in 1981 in *Fréttir frá Sovétríkjunum* (journal of the society of cultural relationships between Iceland and the Soviet Union). The same society organized, in September 1981, Georgian Days (Grúsíudagar), during which Georgian art was exhibited in Iceland. A delegation of artists was invited from Georgia led by minister of education Otar Kiknadze. This journey to Iceland was also documented in a Georgian newspaper in an interview with Kinkknadze, where he described his impressions of Iceland [28]. Last but not least, Grigol Matchavariani's translations helped to introduce Icelanders to some of the highlights of Georgian literature and attracted the attention of Icelanders to this far away and very different country.

Bibliography:

1. *Skandinaviis mtseral Saldor [sic] Laksnesis sitqvidan.* „Komunisti“ # 31, December 1937. (in Georgian).
2. Laxness, Halldór. *Skáldatími.* Helgafell, Reykjavík 1963.
3. Laxness, Halldór. *Gerska ævintýrið.* Helgafell, Reykjavík 1983.
4. Gelovani, Akaki. *Damoukidebeli adamianebi.* “Literaturuli Sakartvelo“, # 11. April 1969. (in Georgian).
5. *Skandinaviuri motkhrobebi.* Translated by Tinatin Koplataдзе. „Sabchota mtserali“, Tbilisi 1961 (in Georgian).
6. Laxness, Halldór. *Napoleon Bonaparte.* Translated by Tinatin Koplataдзе. „Nakaduli“, Tbilisi 1968 (in Georgian).
7. Laxness, Halldór. *Atomis sadguri.* Translated by Jemal Karchkhadze and Davit Tserediani. „Nakaduli“, Tbilisi 1965 (in Georgian).
8. Laxness, Halldór. *Islandiis zari.* Translated by Akaki Gelovani. „Literatura da khelovneba“, Tbilisi 1966 (in Georgian).
9. Laxness, Halldór. *Damoukidebeli adamianebi.* Translated by Nino Samukashvili. „Sabchota Sakartvelo“, Tbilisi 1968 (in Georgian).

10. Sigurðsson, Haraldur, Helgadóttir, Sigríður and Sævarsson, Jökull. *Skrá um rit Halldórs Laxness á íslensku og erlendum málum*: Retrieved April 29, 2015
http://www.islit.is/media/pdf/HKL_ritaskra.pdf
11. *Uprosi Eda*. Translated by Giorgi Kalandadze. „Sabchota Sakartvelo“, Tbilisi 1971 (in Georgian).
12. *Uprosi Eda*. Helgakviða hundingsbana II. „Mnatobi“ # 4: 118-124, 1967. (in Georgian).
13. *Uprosi Eda*. Groagaldr. „Sakartvelos kali“ # 1: 13-14, 1969. (in Georgian).
14. *Níalis saga*. Translated by Giorgi Jabasjvili. “Nakaduli“, Tbilisi 1977 (in Georgian).
15. Jónsdóttir, Ágústína. Straumhvörf í lífi mínu [Interview with Grigol Machavariani]. *Lesbók Morgunblaðsins*. 22. May, 1993. p.4.
16. Matchavariani, Grigol. Dreymir mig fránu Fjallkonuna. *Morgunblaðið*. 24. October, p. 48. 1992.
17. *Ekvsi islandiuri saga. Sex íslenskar sögur*. Translated by Grigol Machavariani. Aghmasjenebeli, Tbilisi 1997 (in Georgian).
18. Guttormsson, Þórhallur. *Ukanaskneli katolike episkoposi*. Translated by Grigol Machavariani þýddi. Aghmasjenebeli, Tbilisi 1997 (in Georgian).
19. Bergmann, Árni. Við staðleysu tak þú minni: Halldór Laxness, Rússland og draumar um fagurt mannlíf. *Tímarit Máls og menningar* 74:2: 70-79, 2013.
20. Þórðarson, Friðrik. Væringjaspjall. *Grikkland ár og síð*, pp. 313-321. Edit. Sigurður A. Magnússon, Kristján Árnason, Þorsteinn Þorsteinsson and Guðmundur J. Guðmundsson. 2. edition. Hið íslenska bókmenntafélag, Reykjavík 2001.
21. Javakhisjvili, Mikheil. *Steinn Satans*. Translated by Friðrik Þórðarson. *Jón á Bægisá* 6 (December): 15-26, 2001.
22. Khutesi, Jakob. *Píslarvætti hinnar heilögu Sjúsaníkar drottningar*. Translated by Grigol Machavariani. Fjölvaútgáfan, Reykjavík 1996.
23. *Jón á Bægisá* 6, December 2001.

24. *Ljóðheimar og sagna vefsíða Pjeturs Hafsteins Lárussonar*. Smásögur frá Georgíu. Retrieved May 12, 2015
<http://www.internet.is/pjetur/geor.html>.
25. Pshavela, Vaja. Dæmd reykjarpípa. *Lesbók Morgunblaðsins*. 4. December, p. 14. 1999.
26. Laxness, Halldór. *Gerska ævintýrið*. Helgafell, Reykjavík 1983.
27. Þórðarson, Agnar. *Kallað í Kremlarmúr*. Almenna bókafélagið, [Reykjavík] 1978.
28. Ketili misiit [Interview with Otar Kinkladze]. *Komunisti* #27. September 1981 (in Georgian).

რენესანსის ეპოქის ქალი. იმოჯენი და ნესტანი

თამარ მელიქიძე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის მიმართულების დოქტორანტი

რეზიუმე: წინამდებარე სტატიაში განხილულია შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქის დამოკიდებულება ქალთა სქესისადმი. მოცემულია შექსპირის ბოლოდროინდელი პერიოდის პიესის *ციმბელინის* პროტაგონისტი ქალის - იმოჯენის მხატვრული სახის ანალიზი. ავტორის მიერ გამოვლენილია *ვეფხისტყაოსნის* ნესტანისა და იმოჯენის სახასიათო პარალელები და მათი ურთიერთმიმართება.

საკვანძო სიტყვები: *რენესანსი, ქალი, რუსთაველი, იმოჯენი, ნესტანი.*

რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში რამდენიმე წელია ფიგურირებს აზრი, რომ *ვეფხისტყაოსანი* არის XVII საუკუნის დასაწყისის ცნობილი ინგლისელი დრამატურგების ფრენსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის პიესების *მეფე და არა მეფე* და *ფილასტერის* სიუჟეტური წყარო [2]. შემდეგდროინდელმა გამოკვლევებმა გამოავლინეს ქართული და ინგლისური ლიტერატურული კრიტიკისთვის ასევე ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ *ვეფხისტყაოსანი* სავარაუდოდ არის XVII საუკუნის დიდი ინგლისელი დრამატურგის, უილიამ შექსპირის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი „პრობლემური“ პიესის *ციმბელინის* წყაროც [3; 4]. კვლევების შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ *ციმბელინის* მთავარი მოქმედი გმირის იმოჯენის სახე

გარკვეულ პარალელს ავლენს რუსთაველის მიერ შექმნილ ნესტან-დარეჯანის მხატვრულ სახესთან. ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელებას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი. რამდენად შეესაბამება იმოჯენის მხატვრული სახე შექსპირის უფრო ადრინდელი პერიოდის ქალ პერსონაჟთა ტიპაჟს? რა მიმართებაშია ეს სახე რენესანსის ეპოქის ინგლისური ლიტერატურის იდეალური ქალის სტერეოტიპთან?

ცნობილია, რომ ევროპული ცივილიზაციის პროცესში რენესანსი გამოფხიზლებისა და განახლების ეპოქა იყო. ანტიკური სამყაროსადმი ხელახალი მიბრუნება და თავიდან აღმოჩენა, ადამიანურ ღირებულებებზე ორიენტირება და ბედნიერების ამქვეყნად ძიება, ადამიანის პოტენციალის გაიდეალება - რენესანსის ძირითადი მახასიათებელი შტრიხებია. მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებამ (ასტრონომია, გეოგრაფია და სხვ.) მოიტანა შესაძლებლობა იმისა, რომ გარემომცველი სამყარო უფრო სიღრმისეულად ყოფილიყო შესწავლილი, რამაც მეტად უფრო განუმტკიცა ადამიანს საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენა. გონება ყოველგვარი პრობლემის გადაჭრის საშუალებად იქნა აღიარებული. როგორც ელგუჯა ხინთიბიძე შენიშნავს, „სიახლე, რომელიც ამ ეპოქამ მოიტანა, სილამაზის პრიმატში, თანაც გრძნობითი სილამაზის პრიმატში მდგომარეობს. რენესანსის ესთეტიკური აზროვნება ენდო საკუთარ თვალთახედვას ანტიკური კოსმოლოგიისა და შუასაუკუნეობრივი თეოლოგიის გარეშე: სამყარო ღმერთმა შექმნა; მაგრამ მთავარი ის არის, რომ ლამაზია ეს ქვეყანა, რა უთვალავი ფერია ადამიანურ ცხოვრებაში, ადამიანური სახის ცოცხალ გამოხედვაში და ადამიანური სულის ჰარმონიაში“ [1, გვ. 89].

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის მნიშვნელობაზე აქცენტი გახდა უმთავრესი, რენესანსის ეპოქაში შექმნილი ტრაქტატების [7; 9; 13; 14] მიხედვით ქალთა სქესს ეს ცვლილებები ნაკლებად შეეხო. როგორც მრავალგზის არის ხაზგასმული სამეცნიერო კრიტიკაში, შუასაუკუნეების

ჟამთაგულაში ქალის შესაძლებლობები მეტ-ნაკლებად იყო დაკნინებული, რადგანაც ითვლებოდა, რომ ქალში უმეტესად ადამიანური სისუსტეები იყო თავმოყრილი და სიმბოლურად ადამიანის დაცემასაც გამოხატავდა. ამგვარი შეხედულების საფუძველი დევს ბიბლიის ტექსტში. შესაბამისად, შუასაუკუნეების ეკლესიისათვის ქალი ერთგვარად განასახიერებდა ბოროტების საწყისს, რომელიც მამაკაცის სულის ღმერთთან შერთვას უშლიდა ხელს. საფიქრებელია, რომ საეკლესიო წრეების წარმომადგენელთა დამოკიდებულებას პავლე მოციქულის ავტორიტეტიც განაპირობებდა [ეფეს. 5. 22-32; კოლ. 3:18; I კორ. 11:34-36; I კორ. 14: 12-15;]. ერთადერთი იდეალური და ყოველმხრივ შემკული ქალი იყო განკაცებული ქრისტეს მშობელი - ქალწული მარიამი, რადგანაც სწორედ მისმა ძემ იხსნა კაცობრიობა იმ ცოდვისაგან, რომლის გამომწვევიც ისევ და ისევ ქალი იყო. ასეთმა შეხედულებებმა განაპირობა შუა საუკუნეების შემდეგნაირი ხედვა: უმაღლესი ქალის იდეალი იყო ქალწული; მერე მოდიოდა ქალი - ქვრივი; მესამე ადგილას კი იდგა ქალი - ოჯახის დედა, შვილების მშობელი და ოჯახის კეთილდღეობის წარმმართველი.

შენიშნულია, რომ გვიან შუასაუკუნეებში ქალის მიმართ იყო ერთგვარი ამბივალენტური დამოკიდებულება. XIII საუკუნის ევროპული ლირიკა იდეალურ ქალად აქცევს წმინდა მარიამს, მაგრამ ზოგჯერ ქალი წარმოდგენილია მაცდუნებელ ძალადაც, რომელიც ხელს უშლის ინდივიდს სულის ხსნასა და უმაღლესი იდეალისაკენ - ღმერთისაკენ სწრაფვაში [1, გვ. 629].

სავარაუდოდ, საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული დამოკიდებულების მიხედვით ქალის მნიშვნელობა იყო მოქცეული ვიწრო ჩარჩოებში, შეზღუდული იყო მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და მორალური უფლებები. ამის დასტურია რენესანსის ეპოქაში შექმნილი ტრაქტატები, სადაც ქალის ძირითად მოვალეობად რჩებოდა ქმრისა და მამის მორჩილება, ოჯახში ფუსფუსი და დიასახლისობა. ლეონ ბატისტა ალბერტის (XV ს.) მიხედვით, ქალის ოჯახში

ყოფნა განაპირობებდა ოჯახური ქონების კეთილდღეობას, ქალს განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა ეზრუნა ყოველგვარ საშინაო საქმეებზე [5, გვ. 18]. იგი საზოგადოებაში ჩნდებოდა იშვიათად, ისიც ძირითადად ეკლესიაში, მაგრამ მხოლოდ მამაკაცის თანხლებით [13, გვ. 313]. მას ნებართვის გარეშე ეკრძალებოდა მეუღლის ოთახში შესვლა. როცა ქალი მშობიარობის მოლოდინში იყო, ან ბავშვი ავადმყოფობდა და განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროებოდა, ასეთი შემთხვევებისათვის მამაკაცისთვის არსებობდა ცალკე მოსასვენებელი ოთახი [11, გვ. 167].

ასევე ძალიან საინტერესოა რენესანსის ეპოქაში ქორწინებასთან დაკავშირებული რეგულაციები. ამგვარ ინფორმაციას ისევ და ისევ გვაწვდის რენესანსის ეპოქაში შექმნილი ტრაქტატები. ქალის გათხოვება ძირითადად სარფიან გარიგებას წარმოადგენდა. ეს საქმე ორივე მხარისათვის - კაცისა და ქალის ოჯახისათვის - სარგებლის მომტანი იყო: ქალის გათხოვება ფინანსურ პრობლემას ხსნიდა ოჯახში, რადგანაც აღარ იყო საჭირო მის საკვებზე და ტანისამოსზე ზრუნვა¹, საქმროს ოჯახი კი ქალის ხელის თხოვნის შედეგად იძენდა გარკვეულ ფინანსურ სარგებელს. უხეშად რომ ვთქვათ, ქალიშვილის ოჯახი მამაკაცს უხდიდა გარკვეულ თანხას ქალზე ქორწინების გამო. ქორწინება ასევე განამტკიცებდა ურთიერთობას სხვადასხვა გვარებსა და შტოებს შორის, ხანდახან კონფლიქტის შეწყვეტასაც ემსახურებოდა. მთელი მზითვი, რასაც კი ქალს გაატანდნენ, ქმრის საკუთრებაში ექცეოდა.

რაც შეეხება ქალის განათლებას, გოგონების უმეტესობას ასწავლიდნენ საოჯახო საქმეების მართვას, ცხოვრებას, დასუფთავებას, კერვას, დახვეწილ მანერებს, აფასებდნენ მათ მდუმარებას და უბიწოებას. ვინც კითხვა იცოდა, მათ წასაკითხად მკაცრად განსაზღვრული და

¹ ზოგჯერ ოჯახისთვის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ხდებოდა ქალიშვილის მონაზვნად გაშვება მონასტერში.

წინასწარ კარგად მოფიქრებულ-შერჩეული მასალა (ძირითადად რელიგიური ლიტერატურა) მიეწოდებოდათ, რადგანაც ჰუმანისტური განათლება შესაძლოა სავალალო შედეგების წინაპირობა გამხდარიყო და ქალი ქმრის სურვილებს შეწინააღმდეგებოდა [8, გვ. 12]. გოგონათა უმეტესობას განათლება ეძლეოდა მხოლოდ იმიტომ, რომ კარგი დედობა გაეწიათ შვილებისთვის. ქალებს, რომლებიც არისტოკრატიულ წრეს მიეკუთვნებოდნენ, დამატებით ასწავლიდნენ ცეკვას, მუსიკას და ხატვას, რათა უფრო მხიარული გარემო შეექმნათ მამაკაცთათვის.

სოციოლოგ რუთ კელსოს აზრით [10], რენესანსულ ხანაში მცხოვრები ქალისთვის ქრისტიანული წესების მიხედვით არსებობა იდეალურ ყოფას წარმოადგენდა, ქალებს მოუწოდებდნენ, ფოკუსირება მოეხდინათ შინაგან სამყაროზე, მაქსიმალურად მოეთოკათ სურვილები. ლუის ვივის ტრაქტატის - *ინსტრუქციები ქრისტიანი ქალისთვის* მიხედვით, ქალში არც ერთი კაცი არ ეძებს გონებას, ცხოვრების შნოს, წინდახედულებას, სახელმწიფოს მართვის უნარს, სამართლიანობას და ლიბერალიზმს [14]. კაცისთვის მნიშვნელოვანია ქალის სიწრფელე და ერთგულება. ამის საწინააღმდეგოდ, რენესანსული თვალთახედვით, კაცს შეჰფეროდა წარმართული ბუნება, კონცენტრირება საკუთარი თავის რეალიზებაზე და სურვილების დაკმაყოფილებაზე. საზოგადოებისთვის სასურველი მამაკაცი უნდა ყოფილიყო გონიერი, მჭევრმეტყველი, ინტელექტუალი, სამართლიანი, შემწყნარებელი, უნდა ჰქონოდა კარგი მეხსიერება, საკუთარი თავის გატანის უნარი, ჯანმრთელი სხეული და კიდევ ბევრი რამ.

ამ ფონზე საინტერესოა, როგორ წარმოგვიდგენს თავის შემოქმედებაში XVI-XVII საუკუნეების უდიდესი დრამატურგი - უილიამ შექსპირი ქალს, რა დამოკიდებულება აქვს “სუსტი” სქესის მიმართ, როგორ განსაზღვრავს მის როლს სოციუმში, რამდენად ექცევა არსებული სტერეოტიპების გავლენის ქვეშ. ინგლისურ ლიტერატურულ კრიტიკაში შენიშნულია, რომ შექსპირს

ცალსახა დამოკიდებულება არ აქვს ქალთა სქესის მიმართ. მისი ქალი გმირების ერთი ნაწილი არსებული სტერეოტიპისგან არსებით განსხვავებას ავლენს. მაგალითად, პიესები - *ოტელო*, *ჰამლეტი*, *აურზაური არაფრის გამო და სხვა* ზუსტად ასახავენ გაბატონებულ შეხედულებას ქალთა მორჩილების შესახებ. ამ ნაწარმოებებში მოქმედი ქალები სრულყოფილად ასახავენ რენესანსის ეპოქის ქალთა მოდელს - არ აქვთ განათლება, მაგრამ კარგად ფლობენ საოჯახო საქმიანობას, სანიმუშოდ ზრდიან შვილებს და უსიტყვოდ ემორჩილებიან მამრობითი სქესის ოჯახის წევრებს.

ამ შემთხვევაში ჩემთვის საინტერესოა შექსპირის იმ ქალთა მხატვრული სახეების ანალიზი, რომელნიც თავიანთი ქმედებებით ამსხვრევენ არსებულ სტერეოტიპებს და ხაზგასმით წარმოაჩენენ ქალურ ბუნებასა და თვისებებს. ამ სტატიის ფარგლებში შევეცდები ვისაუბრო პიესა *ციმბელინის* მთავარ მოქმედ გმირ ქალზე - იმოჯენზე, რომელიც არის შექსპირის შემოქმედებაში ერთ-ერთი მკვეთრად გამოხატული “მეამბოხე” ქალის ტიპი.

იმოჯენის მხატვრული სახე მრავალი ხნის მანძილზე იპყრობდა ინგლისური ლიტერატურის კრიტიკოსთა ყურადღებას. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ მის პერსონაჟში შერწყმულია ჯულიეტას რომანტიული ენთუზიაზმი, ელენეს ურყევი სიმტკიცე და ერთგულება, განუზომელი სისპეტაკე პორციასი, ეს სახასიათო შტრიხები ისე ჰარმონიულადაა ურთიერთს შეზავებული, რომ იმოჯენის გმირს ყველაზე მაღლა აყენებს და გამოარჩევს შექსპირის მიერ შექმნილი ქალი პერსონაჟების გალერეადან [16]. პიესის დასაწყისშივე ყურადღებას იპყრობს იმოჯენის მეამბოხე ხასიათი, როდესაც თამამად ეწინააღმდეგება მამის გადაწყვეტილებას პრინცზე მითხოვების შესახებ. იგი ბედნიერია პოსტუმუსის ცოლობით, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქორწინებამ მეფე-დედოფალთან განხეთქილება მოიტანა. იმოჯენი არ ეპუება დედოფლის ვაჟის პრინც

კლოტენის შეტევებსაც, ცდილობს რა ეს უკანასკნელი თავი შეაყვაროს და დაეუფლოს ქალს.

არანაკლებ საინტერესოა იმოჯენისა და მისი მეუღლის, პოსტუმუსის ურთიერთობა. იმოჯენის სოციალური სტატუსიდან გამომდინარე მისი ურთიერთობა პოსტუმუსთან წინააღმდეგობაში მოდის ურთიერთობის რენესანსულ სტერეოტიპთან. უილიამ გოუჯის[9] მიხედვით, თუკი ცოლის მატერიალური შესაძლებლობა აღემატებოდა ქმრისას, ეს ქაოსური ქორწინების წინაპირობა შეიძლებოდა გამხდარიყო. ფინანსური უპირატესობა ქალს ანიჭებდა ძალაუფლებას, რის შედეგადაც კაცის ღირსება კნინდებოდა და დგებოდა საშიშროება ქალის კაცზე გაბატონებისა, რაც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ ურთიერთობის მოდელს, იმ წესრიგს, რაც ღმერთისგანაა ცოლქმრობაში დადგენილი და რაც მოგვიანებით იმემკვიდრა რენესანსულმა კულტურამ. სწორედ ამიტომ საყვედურობს კიდევ ციმბელინი ქალიშვილს მასზე დაბალი სოციალური სტატუსის მქონე მამაკაცის სიყვარულს. ფაქტია, რომ იმოჯენმა ძალიან კარგად იცის კლასობრივი სხვაობის შესახებ, რომელიც მასა და მის სატრფოს შორის არსებობს, მაგრამ ამ ფაქტს ღირსების დაკნინებად არ მიიჩნევს. იმოჯენი მალღდება ამქვეყნიურ, მატერიალურ ღირებულებებზე (სიმდიდრე, მეფის ასულის ტახტის მემკვიდრის სტატუსი) და თავისი სიყვარულის გადარჩენას ლამობს. მას ტვირთად აწევს ის ფაქტი, რომ ერთადერთი ტახტის მემკვიდრეა, განწირულია მეფობისთვის და ზუსტად ამ წოდებას მოაქვს დაბრკოლება მისი ბედნიერებისთვის. იმოჯენი მზადაა, უყოყმანოდ შესწიროს დედოფლობის პატივი, ოღონდაც ისევ ქმარს შეერთოს და მშვიდად იცხოვროს მასთან ერთად. იმოჯენის ამ სურვილში მჟღავნდება მსგავსება შუასაუკუნეებში არსებულ ქალის მოდელთან, რომლის იდეალიც მხოლოდ ოჯახური ბედნიერებაა.

ვეფხისტყაოსანის ნესტანის სახე ამ კუთხით იმოჯენისგან ერთგვარ განსხვავებას წარმოაჩენს. ნესტანი

მეტად ამბიციურია, თავიდანვე ჩართულია სახელმწიფოს მართვის პროცესში. ამის მაგალითები ტექსტში მრავლად მოიპოვება - ნესტანი აგზავნის სატრფოს აჯანყებული ხატაელების დასამორჩილებლად; ნესტანის მიერ მოფიქრებული გეგმის მიხედვით, ხვარაზმშას ძის მოკვლამ უნდა გადაარჩინოს ერთი მხრივ ნესტანისა და ტარიელის სიყვარული, და მეორე მხრივ ინდოეთი უცხოტომელთა მმართველობისაგან; დატყვევებული ნესტანი ქაჯეთის ციხიდან მოწერილ წერილში კიდევ ერთხელ სთხოვს საყვარელს, მიხედოს მტრებისგან შევიწროებულ ინდოეთს.

მამაკაცის არსებული სტერეოტიპისგან აბსოლუტურად განსხვავებულ სახეს ქმნის პოსტუმუსი. იგი თითქოს პასიურია წარმართოს თავისი და იმოჯენის ურთიერთობა. ნაცვლად იმისა, რომ მცირე წინააღმდეგობა მაინც გაუწიოს ციმბელინს და დაიცვას იმოჯენი მამის საყვედურებისა და რისხვისგან, დამფრთხალი ემორჩილება მეფის ბრძანებას, იჩენს სისუსტეს და ტოვებს სამეფოს, შესაბამისად, იმოჯენს. იტალიაში ჩასული კიდევ ერთხელ ავლენს ნებისყოფის სისუსტეს და ცოლის უბიწოებასა და ერთგულებას სანამდღეოს ობიექტად აქცევს, იაკიმოსთან ფინანსურ გარიგებაზე მიდის და ვაჭრობს ცოლის ერთგულებით. ამ გარიგებით, განსხვავებით იმოჯენისგან, თავის სიყვარულს მატერიალურ ღირებულებამდე დაიყვანს. ლოურენს დენსონის[6, გვ. 69-79] აზრით, პოსტუმუსს ეს საქციელი შექსპირის ყველაზე ეჭვიან მამაკაცთა შორის უმკვიდრებს ადგილს.

მიუხედავად ამდენი წინააღმდეგობისა, იმოჯენი დგას მყარად, არ კარგავს იმედს, რომ მისი სიყვარული გადალახავს ყველა სიმწიფეს - იგი მზადაა, სიცოცხლის ბოლომდე უერთგულოს მეუღლეს. ფიზიკური დაშორების შედეგად ქალი უკვე სულიერ კავშირზე აკეთებს აქცენტს - მისი აზრით, ქორწინება, რომლითაც პოსტუმუსთანაა დაკავშირებული, ტრანსცენდენტურს ხდის მათ ფიზიკურ დაშორებას.

ამკარაა, რომ იმოჯენი რენესანსული ქალის მოდელისაგან გარკვეულ სხვაობას ავლენს. იმოჯენი არის ქალისა და კაცის ურთიერთობაში ლიდერი. თუკი ტრაქტატების მიხედვით, მამაკაცი წარმმართველია ცოლქმრული კავშირისა, შექსპირის *ციმბელინი*ში ეს კანონზომიერება რევერსულადაა წარმოდგენილი. პიესაში მოქმედი ორივე წყვილის შემთხვევაში (ციმბელინი და მისი დედოფალი, იმოჯენი და პოსტუმუსი) ურთიერთობის წარმმართველი ქალია. მეფე ციმბელინს, სუსტი ხასიათიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება უჭირს, დედოფლის მითითებით მოქმედებს საკუთარ შვილთან მიმართებით, ბრძოლის წამოსაწყებადაც კი საჭიროებს ცოლის რჩევას.

ამგვარად, ქალის სტერეოტიპი, რომელიც რენესანსმა შუასაუკუნეებისაგან იმემკვიდრა, იმოჯენის სახით ერთგვარად იმსხვრევა. *ციმბელინი* წარმოადგენს ისტორიას, ამბავს იდეალური ქალისას, რომელიც იცავს თავის პატიოსნებასა და სიყვარულს საკმაოდ რთული პრობლემების ფონზე. ამიტომაც მკითხველი, მიუხედავად სტერეოტიპების მსხვრევისა, ისევე, როგორც სასახლის წევრები, სიმპატიით იმსჭვალებიან იმოჯენის მიმართ. იგი უსაფუძვლოდაა დასჯილი პიესაში და ეს იწვევს მკითხველის ერთგვარ პროტესტს.

როგორც უკვე აღინიშნა, *ვეფხისტყაოსნის* ერთ-ერთი მთავარი გმირის - ნესტან-დარეჯანის მხატვრული სახე გარკვეულ პარალელს პოულობს შექსპირის იმოჯენტან. საინტერესოა ნესტანის პერსონაჟის განხილვა ქალის რენესანსული ეპოქის მოდელის ფონზე. იმისდა მიუხედავად, რომ პოემა XII საუკუნეს მიეკუთვნება, ეს კი გვიანი შუასაუკუნეების ხანაა, მასში რენესანსული ელემენტები, როგორც რუსთველოლოგიურ ლიტერატურაშია გამოვლენილი, უკვე ჩნდება. სხვა საინტერესო შტრიხებთან ერთად¹ (სიუჟეტი, მხატვრული

¹დაწვრილებით იხილეთ: 1, გვ. 676-677.

სტრუქტურა, სტილი და ა.შ.) საინტერესოა ადამიანის კონცეფცია *ვეფხისტყაოსანში*. “იგი აბსოლუტურად განსხვავდება შუასაუკუნეების შეხედულებებისაგან ადამიანზე. არა ორიგინალობა, არა განსხვავება სხვისაგან, არამედ მაქსიმალურად დაახლოება მორწმუნე საზოგადებასთან, დაქვემდებარება ღმერთის მიერ განჩინებული წესისადმი - ესაა მისწრაფება, იდეალი შუასაუკუნეების პიროვნებისა. რუსთველის პოემის ადამიანი ახალი ეპოქის ადამიანია. ადამიანის უზენაესი სიკეთე - მისი აბსოლუტური დამოუკიდებლობა, რაც ქრისტიანობაში ტვირთად და ცოდვად აწევს ადამიანის სულს, რასაც ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან ქადაგებდა სტოელთა მოძღვრება და რასაც მხარი ამკარად დაუჭირა რენესანსის ეპოქის საზოგადოებრივმა პოზიციამ, ვეფხისტყაოსანში შექმნილი და გაიდევალბულია. *ვეფხისტყაოსნის* ადამიანი კი თავისუფალი ქმედების პერსონაა და არა კოდექსებისა და პირობითობების ჩარჩოებში მოქცეული ლიტერატურული ფიქცია” [1, გვ. 680].

ეს ექსპოზიცია კარლას ცხოვრებაში გადამწყვეტი აღმოჩნდა. 1874 წლის 1 აგვისტოს 54 წლის კარლამ დატოვა ლონდონი, სადაც მხოლოდ 5 წლის შემდეგ დაბრუნდა. მან მოინახულა შვედეთი, რუსეთი, თურქეთი, ეგვიპტე, წმინდა მიწა, სირია, ლიბანი და საბერძნეთი. 1875 წელს, ნოემბრის მეორე ნახევარში იგი უკვე კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა. სერენას მხოლოდ ხუთი კვირა ჰქონდა, რადგან ახალი წლის აღნიშვნას ოჯახთან ერთად ლონდონში გეგმავდა. მას შეემლო ინგლისში დაბრუნება ვენის ან საქართველოს გზით, სადაც კავკასიონის მთებს გადალახავდა და რუსეთის გავლით დაბრუნდებოდა შინ. კარლამ ეს უკანასკნელი ამჯობინა და ფოთისკენ გაემგზავრა. ყოველივე ამის შემდეგ, 1884 წლის აგვისტოში საბერძნეთში გარდაცვალებამდე, იგი თითქმის განუწყვეტილად მოგზაურობდა.

მისი შვილების შესახებ, გარდა ართურისა, ცოტა რამაა ცნობილი. ამ უკანასკნელმა პროფესორის წოდება მიიღო და რამდენიმე უცხოენოვან ინსტიტუტში ასწავლიდა იტალიურ და ინგლისურ ენებს. ართური, მამის მსგავსად, საბროკერო საქმით იყო დაკავებული, მოღვაწეობდა ლონდონში, გაწევრიანებული იყო ბევრ საქველმოქმედო ორგანიზაციაში.

როდის და რა ადგილებში იმოგზაურა კარლა სერენამ საქართველოში?

1875 წლის ნოემბერში, რუსეთის კონსულმა კონსტანტინოპოლში, გენერალმა იგნატიევმა, კარლა რუსეთის გემის კაპიტანთან დააკავშირა, რომელთან ერთადაც გაემგზავრა საქართველოში. კარლა იქიდან გემავდა ინგლისში დაბრუნებას 1875 წლის 31 დეკემბრისთვის. უამინდობის გამო გემ *ვესტას* ჯერ ტრაპიზონში შეჩერება მოუწია, ხოლო შემდეგ - ბათუმში. ქარიშხალმა მოგზაური თორმეტი დღით შეაფერხა, სანამ შეძლებდა ფოთიდან ქუთაისის გავლით თბილისამდე ჩაღწევას. კონსტანტინოპოლიდან გამომგზავრების შემდეგ თბილისში მხოლოდ ერთი თვის შემდეგ ჩააღწია. თბილისში ჩასული კარლა მიიღო კავკასიის მთავარმართებელმა, მეფის ნაცვალმა - მიხეილ ნიკოლაევიჩმა. მან კარლას ურჩია, რაც შეიძლება კავკასიის ბევრი პროვინციის მონახულება, ასევე შუამავლობა გაუწია სხვადასხვა გამგებელთან. კარლამ თავისი მომდევნო მოგზაურობიდან სრულიად ნათლად მიგვანიშნა, რომ ოფიციალური დახმარებაც მიიღო, მაგრამ დამხმარეთაგან დაასახელა მხოლოდ რამდენიმე ადამიანი. ამკარა გახდა, რომ მისი ერთწლიანი სამოგზაურო გეგმა და ლონდონში საახალწლო დაბრუნება დღის წესრიგიდან ამოვარდა.

სერენამ თავისი მოგზაურობა საქართველოში 1876 წელს დაიწყო, პირველად იმერეთს ესტუმრა და ქუთაისში დაიდო დროებით ბინა. შემდეგ სამეგრელოში გადავიდა და ზუგდიდში შეჩერდა, რის შემდეგაც სამურზაყანოსა და

აფხაზეთშიც გადაინაცვლა. კარლას საანგარიშო მოხსენება მოკლებულია ქრონოლოგიას, მაგრამ ირკვევა, რომ, როგორც ჩანს 1876 წლის ბოლოს იგი ზღვით იალტისა და ყირიმისკენ გაემგზავრა. ამის შემდეგ მან იმოგზაურა სიმფეროპოლის, როსტოვისა და ვლადიკავკაზის არეალში, საიდანაც დარიალის ხეობით კვლავ საქართველოში დაბრუნდა და სამხედრო გზით თბილისისკენ გამოემართა. ის გვიამბობს, რომ 1877 წლის იანვარში თბილისში მყოფი ემზადებოდა კახეთისკენ გასამგზავრებლად. კახეთში სამთვანი მოგზაურობის შედეგად კვლავ თბილისში დაბრუნდა, სადაც მიიღო მიწვევა გურიის მოსანახულებლად. კარლა სერენა ნოემბერში ახალციხის, ბორჯომისა და გორის გავლით გურიიდან კვლავ თბილისში დაბრუნდა.

კარლა თითქმის არაფერს ამბობს იმ დროს დაწყებული რუსეთ-თურქეთის ომის შესახებ, რომელიც 1877 წლის 24 აპრილიდან - 1878 წლის 2 მარტამდე გაგრძელდა. კავკასიაში ომის უმთავრესი მიზეზი აფხაზეთში თურქეთის შემოჭრა იყო, რის შედეგადაც მივიღეთ სოხუმის უდიდესი ნაწილის განადგურება და რეგიონების დროებითი ოკუპაცია. ომი არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდა მისთვის, რადგან კარლა იმ დროისთვის (1877 წ.) უკვე მიემგზავრებოდა აღმოსავლეთ საქართველოში. მიუხედავად ამისა, იმავე პერიოდში გამოცემულ ამერიკულ ჟურნალში (1882 წ.) დაიბეჭდა სტატია კარლას მოგზაურობის შესახებ, სადაც წერია: “ახლადდაწყებულ რუსეთ-თურქეთის ომში. ომისაგან დაზარალებულ რეგიონებში, საკუთარი თავი საგმირო და სამამაცო საქმიანობით წარმოაჩინა შეუპოვარმა ქალბატონმა, რისთვისაც დაგვიანებით იქნა დაფასებული იმპერატორ ალექსანდრე II-ისა და მეფის ნაცვალ მიხეილის მიერ.”

როგორც ირკვევა, ეს ანგარიში მცდარი გამოდის, რადგანაც კარლა არ იმყოფებოდა საქართველოს “ომით დაზიანებულ რეგიონებში”; იგი იმყოფებოდა თბილისსა და კახეთში 1877 წლის მარტის შემდეგ, სადაც გურიიდან მომავალი დაბრუნდა ახალციხის, ბორჯომის და გორის

გავლით. როგორც თვითონ კარლა აღნიშნავს, იგი სამედიცინო დახმარებას უწევდა დაჭრილ ჯარისკაცებს, ეს სასწრაფო დახმარების სამსახური მეფის ნაცვლის ცოლის - ოლგა ფეოდოროვნას მეშვეობით იყო შექმნილი. 1878 წლის შემოდგომაზე, კარლამ მცირე დროით საქართველო დატოვა და თეირანში გამოიზამთრა.

კარლა ომის მოვლენებს გაკვრით მოიხსენიებს 1881, 1883 და 1884 წლებში დაწერილ წერილებში, სადაც მოთხრობილია სამეგრელოში, სამურზაყანოსა და აფხაზეთში მოგზაურობის ამბები. თუმცა ვრცლად გვიამბობს ომზე თავის სტატიაში: *Mon Voyage: Souvenirs personnels – De la Baltique à la Mer Caspienne*, რომელიც დაიბეჭდა 1881 წელს (იხ. ქვემოთ), მაგრამ ომში მონაწილეობის შესახებ არაფერს ამბობს.

1881 წელს კარლა მეორედ ეწვია საქართველოს, დატოვა რა ვენა 16 ოქტომბერს და უკან დაბრუნდა 23 დეკემბერს, სადაც გეგმავდა დასწრებოდა ვენის ექსპოზიციას. მისი მეორე მოგზაურობის მიზანს წარმოადგენდა სურათების გადაღება, რომელიც ესაჭიროებოდა ჯერ კიდევ დაუბეჭდავი 1876-78 წლების მოგზაურობების ამსახველი სტატიების საილუსტრაციოდ. ამისთვის მან ფოტოგრაფია საგანგებოდ შეისწავლა და 1881 წლის ოქტომბრიდან ნოემბრამდე კახეთში 3 დღე, ხოლო აფხაზეთში - ერთი თვე დაჰყო, სადაც საჭირო ფოტოებს ამზადებდა.

კარლა სერენას პუბლიკაციები

მიუხედავად სირთულეებისა, კარლას თავისი ჩანაწერები მოგზაურობების დროს უნდა გაეკეთებინა, რისი მიხედვითაც შეადგინა თერთმეტი შესანიშნავი სტატია. ფრანგულმა ჟურნალმა *Le Tour du Monde*-მ ისინი რიგ-რიგობით, კარლას მოგზაურობების ქრონოლოგიის დაცვით გამოაქვეყნა: 1880 წელს დაბეჭდილი პირველი სტატია, რომელშიც მიმოხილული იყო იმერეთში მოგზაურობა; 1881

წელს დაბეჭდილი მეორე და მესამე სტატია, რომელშიც მიმოხილული იყო მოგზაურობა სამეგრელოში; 1882 წელს მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სტატიები, რომლებშიც აღწერილი იყო მოგზაურობა სამურზაყანოსა და აფხაზეთში; 1882 წლის სტატია, რომელიც ეძღვნებოდა კახეთში მოგზაურობას; ხოლო 1884 წელს დაბეჭდილი მათე და მეთერთმეტე სტატიები მთლიანად მიეძღვნა კარლას მოგზაურობას გურიაში, გორში, ბორჯომსა და ახალციხეში. ჟურნალის *Mon Voyage* (სულ 230 გვერდი) თერთმეტი სექციიდან - ოთხი სექცია მიმოხილავდა კავკასიასა და საქართველოს; ესენია: *კავკასია ომის დაწყებამდე; საქართველო ომის პერსპექტივიდან; კავკასიისკენ ომის დროს და დაბრუნება კავკასიაში*. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი არ არის ილუსტრირებული, ხოლო სტატიები კი უხვადაა დასურათებული, წიგნი უფრო მრავლისმთქმელია, ვიდრე ცალკეული სტატიები.

დაისმის ოთხი შეკითხვა კარლას სტატიებისა და წიგნის შესახებ: ა) ისტორიული, ფოლკლორული, გეოგრაფიული და პირადი დეტალებიდან გამომდინარე, რომელსაც კარლა გვთავაზობს, ჩვენ შეგვიძლია ვიკითხოთ, თუ რა მასალა მოაგროვა მან მოგზაურობის დროს და რა იყო მისი კვლევითი საქმიანობის შემდგომი დასკვნები? რა წყაროები და გამოცემები გამოიყენა მან - ქართული, რუსული თუ სხვა? ბ) რა შემატა კარლას მეორე მოგზაურობამ პირველი მოგზაურობის ამბებს. გ) რაოდენ კრიტიკულად იქნა მისი წერილები მიღებული? გარდა ამისა, იგი ოქროს მედლებით იყო დაჯილდოვებული შვედეთისა და იტალიის მეფეებისგან და მისი ნამუშევრები წარდგენილი იყო ლონდონის, პარიზისა და ვენის გეოგრაფიულ საზოგადოებებში, და ბოლოს დ) რა საყურადღებო განსხვავებებია კარლას წერილებსა და მის წიგნს შორის? ამ საკითხების ნათელსაყოფად საჭიროა ჩატარდეს სამომავლო კვლევები.

ჩვენთვის კი ყველაზე მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, თუ რა დაიწერა კარლა სერენას და მისი მოგზაურობების

შესახებ ქართული პრესის ფურცლებზე ქართველი ინტელექტუალებისა და პოლიტიკური ფიგურების მიერ. (განსაკუთრებით საინტერესო ჩანაწერები ეკატერინე დადიანს ეკუთვნის). იყო თუ არა გამოქვეყნებული ვრცელი წერილები ქართულ და ევროპულ პრესაში მისი გარდაცვალების შემდეგ? ამისთვის საჭიროა ქართულ, რუსულ და ევროპულ არქივებში ჩატარდეს სათანადო კვლევა.

კარლა სერენას სამოგზაურო ამბების მნიშვნელობა

კარლა სერენას საქმიანობა არის მნიშვნელოვანი რამდენიმე მიზეზის გამო: 1) მან იმოგზაურა არა ოფიციალურად, არამედ - პირადად, მხოლოდ მცირეოდენი ამალით (ხშირ შემთხვევაში მეგზურთან და მეზარგულესთან ერთად). კარლამ განვლო მიუვალი გზები ზოგჯერ ცხენით, ზოგჯერ - მატარებლით. 2) კარლა გაბედული ქალი იყო და ხშირად რისკებზეც მიდიოდა, მაგალითად ისეთზე, როგორც იყო გემით აღელვებულ შავ ზღვაში მოგზაურობა. მან გადალახა მდინარეები ცხენზე მიბმულმა, აგრეთვე ხშირად ადიოდა ხოლმე სარისკო მალლობებზე იმიტომ, რომ ენახა და აღმოეჩინა დაზიანებული ნანგრევები. 3) შორეული ეკლესიებისა და სალოცავების მოსანახულებლად ხშირად აღამებდა სოფლის სახლებში, რომელიც უმეტესად მოკლებული იყო ყოველგვარ კომფორტს. ასეთ სირთულეებს მოგზაური ქალი ყოველთვის იუმორით ეხმიანებოდა. 4) კარლას გამჭრიახობასა და მახვილ თვალზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მან შესანიშნავად აღწერა სხვადასხვა კლასის - თავად-აზნაურობის, სამღვდელოების, გლეხობის, გემის კაპიტნების, ექიმების, ცხენის ქურდების, ყაჩაღების, მედუქნებისა და სხვათა ყოველდღიური ცხოვრება. 5) კარლა ყოველი ცვლილების შესახებ აკეთებდა ჩანაწერს, იქნებოდა ეს ბათუმი-ფოთი-თბილისის დამაკავშირებელი რკინიგზა თუ დიდი ინდო-ბრიტანული სატელეგრაფო ხაზი, რომელიც საქართველოს გავლით მოქმედებდა. იგი აგრეთვე აღწერდა ქალაქებსა და განვითარებულ

მევენახეობას. 6) კარლას არის აქტიური კომენტატორი საქართველოს ისტორიისა და ფოლკლორისა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაწერები ხშირად ცდომილებას ავლენენ. საბოლოოდ, კარლას ჩანაწერების ანალიზისას ვლინდება, რომ იგი გავლით კი არ ყოფილა საქართველოში, არამედ მან აქ გარკვეული პერიოდი დაჰყო და იცხოვრა კიდეც.

კარლას ხშირად აქებდა საქართველოს მდიდარ ბუნებრივ საგანძურს, მშვენიერებას იმ კუთხეებისას, რომლებიც მოინახულა და კეთილშობილებას იმ ადამიანებისა, ვინც გაიცნო, განურჩევლად წოდებისა. იგი ასევე აკრიტიკებდა ანტისანიტარიას. აღსანიშნავია, რომ მისი ასეთი შეხედულება არ უნდა ყოფილიყო გულსატკეპნი, რადგანაც 1870-1880-იან წლებში ევროპულ სოფლებშიც დაბალი და საშუალო კლასისთვის, მცირე ვაჭართა და გლეხთათვის ვითარება თითქმის ანალოგიურად მძიმე იყო.

კარლას ინტერესის არეალი და თხრობის უნარი მოგვაგონებს რამდენიმე რომაელ კათოლიკე მისიონერთა ადრეულ ხატოვან ჩანაწერებს, რომლებიც ინგლისურ ენაზე არასოდეს თარგმნილა. ეს კათოლიკე მისიონერები იყვნენ: დონ პიეტრო ავიტაბილე (1626-38), არქანჯელო ლამბერტი (1633-49), დონ კრისტოფერო დე კასტელი (1628-54), და ჯოსეფ-მარინე ზამპი (1645-1668). კასტელმა, გარდა ორი წიგნისა, დაგვიტოვა 500-ზე მეტი საინტერესო ჩანახატი, სადაც აღწუსებულია ამა თუ იმ კუთხის ყველა ცხოვრებისეული ასპექტი, იქნებოდა ეს საეკლესიო, გლეხთა ცხოვრების, გართობის, პორტრეტების, სამოსისა თუ სხვათა აღწერა. სამეგრელოს აღწერა ამ მისიონერ მწერალთა მთავარი საზრუნავი გახლდათ. მათი ნაწერები უდაოდ აღემატება ვიწრო კუთხოვრივ და სარწმუნოებრივ ჭრილს; ისინი მიმოიხილავენ საყოველთაო საკითხთა არეალს.

ზემოხსენებულ ოთხეულს ჩვენ უნდა დავამატოთ საფრანგეთში დაბადებული, მეტად გამორჩეული მოგზაური - ჟან შარდენი, ძვირფასი ქვებით მოვაჭრე მდიდარი ვაჭარი, რომელმაც თეირანისკენ მიმავალმა 1672-73 წლები სამეგრელოში დაჰყო. ავტორმა თავისი მრავლისმომცველი

მოთხრობები სხვადასხვა გამოცემებად დაჰყო, თუმცა მისი 1686 წლის გამოცემა შეიცავს მის შთაბეჭდილებებს სამეგრელოსა და თბილისის შესახებ, საიდანაც სპარსეთისკენ გაემგზავრა. საქართველოში მყოფ მოგზაურთა სიაში კიდევ იყვნენ: ეკატერინე დიდის მსახურები - გიულდენშტადტი (Guldenstädt), კლაპროტი (Klaproth) და სხვანი. ცოტა მოგვიანებით საქართველოში იმოგზაურეს დიუბუა დე მონპერემ (Dubois de Montpéroux) და ალექსანდრე დიუმამ. რაც შეეხება კარლა სერენას, მან ყველაზე ბოლოს იმოგზაურა საქართველოში, რაც ამ ქვეყანაში დიდ ცვლილებებს დაემთხვა. იგი ღირსეული დანამატია იმ რჩეული კომპანიისა, რომელზედაც ზემოთ ვსაუბრობდით - ჩვენთვის ეს ადამიანები არიან უმთავრესი აღმწერები საქართველოსი.

კარლას ნაშრომის უდიდეს ნაწილს მოიცავს მისივე უხვი ილუსტრაციები. თერთმეტსავე სტატიაში ბევრგან ვხვდებით შავ-თეთრ ნახატებს. ხშირად ორიგინალური ჩანახატებიცაა გამოყენებული. თითო სტატია შეიცავს სამ სრულგვერდიან ნახატს და შვიდ - მცირეს. ილუსტრაციებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი მასალა სოციალური თემატიკიდან: სხვადასხვა წარმომავლობისა თუ სოციალური ფენის ადამიანების ოჯახურ წვეულებათა, ყოველდღიური ყოფის, ციხე-ეკლესიათა და სხვა ტიპის ნაგებობათა ამსახველი ნახატები. სტატიებში გამოყენებულია უმაღლესი ხარისხის ორიგინალები, რის გამოც ეს ილუსტრაციები დღესაც ინარჩუნებენ უდიდეს ინტერესსა და ისტორიულ ღირებულებას.

კარლას, როგორც ფოტოგრაფის, უმთავრესი საყრდენი თბილისში მცხოვრები 30 წლის ფოტოგრაფი გამჭრიახი ეთნოგრაფი და მე-19 საუკუნის ფოტოგრაფიის გიგანტი დიმიტრი ერმაკოვი (1848-1916) იყო; გარდაცვალების შემდეგ ერმაკოვმა დატოვა დაახლოებით 25 000 ფოტო-სურათი, 15 000 შუშის ნეგატივი და 5000-ზე მეტი ალბომი, რომელიც არის საქართველოს ისტორიისა და კულტურის უდიდესი საგანძური. ჯერაც გაურკვეველია

კარლა და დიმიტრი შეხვდნენ თუ არა ერთმანეთს; ასევე უცნობია, თუ როგორ მოიპოვა კარლამ ეს ფოტოები.

კარლა სერენასთვის დიდი შეღავათი იყო, როდესაც 1876-1881 წლებში მოგზაურობის დროს მან შეისწავლა ფოტოგრაფია, რაც ფრიად ესაჭიროებოდა 1876-77 წლებში სამურზაყანოსა და აფხაზეთში მოგზაურობის ამსახველი წერილების საილუსტრაციოდ. მისი ოსტატობა და ახლადშეძენილი უნარების გამოყენება უთუოდ აღსანიშნავია; მან წამოიწყო აფხაზეთის სახიფათო და მიუვალ მთებში ფოტო გადაღებები და კარგ შედეგებს მიაღწია. მის სტატიებში მოიხსენიება მესამე ფოტოგრაფიც (შესაძლებელია მეტიც ყოფილიყო), ერთ-ერთი ილუსტრაციის ციტატაზე წერია: “გადაღების შემდეგ”, რაც გვაფიქრებინებს, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო კამერის მიღმა. ცხადია, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (სადაც ინახება ერმაკოვის და მისი თანამედროვეების ნიმუშები) და საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ცნობები ბევრ საკითხს მოჰფენს შუქს და მოგვცემს შესაძლებლობას, შევექმნათ ამომწურავი მონახაზი და დეტალური რუქა კარლა სერენას მოგზაურობისა.

უპირველეს ყოვლისა, კარლა დაწვრილებით აღწერს რა მრავალფეროვან სცენებს, ნანახი ადგილების ისტორიულ დეტალებსა და გაცნობილი ადამიანების ბიოგრაფიულ მონაცემებს, იგი არ გვაწვდის ყველა იმ საჭირო ინფორმაციას, რაც გვჭირდება მისი მოგზაურობების სრულყოფილად აღწერისათვის.

კარლა სერენას საქართველოში მოგზაურობის შეუსწავლელი საკითხები

კარლას ნარკვევში მასალის სიმდიდრე და მრავალფეროვნება, მისი მოგზაურობის ზუსტი მარშრუტი და ქრონოლოგია, დაფინანსების წყაროები და კონტაქტები წამოჭრის მრავალ პასუხგაუცემელ კითხვას. მართალია, კარლა მიუთითებს თავისი მოგზაურობის წელსა და სეზონს,

მაგრამ იგი იშვიათად ათარილებს მოვლენებს დღეებისა და თვეების მიხედვით.

მკაფიოდ განსაზღვრული ქრონოლოგიის ნაკლებობა არ არის ერთადერთი ნაკლი კარლას მოგზაურობების აღწერისას. იგი არ მოგვითხრობს დაწვრილებით იმ კონტაქტების შესახებ, რომელიც მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლაევიჩმა შესძინა და შემოიფარგლება მხოლოდ ამ პიროვნებათა სახელისა და თანამდებობის მოხსენიებით. თუმცადა, კარლა ყურადღებას ამახვილებს სამეგრელოს დედოფლის, ეკატერინე დადიანის მიერ გამოჩენილ სტუმართმოყვარეობაზე. ეს გამოჩენილი ქალბატონი გახლდათ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი, დაბადებული 1816 წელს. 1838 წელს მან იქორწინა დავით დადიანზე, სამეგრელოს მთავარზე, რომლის გარდაცვალების შემდეგ ეკატერინემ ჩაიბარა სამეგრელოს მართვა. ყირიმის ომის შემდგომ 1856 წელს (რომელშიც ეკატერინემ აქტიური როლი ითამაშა სამეგრელოს დასაცავად), იგი რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად, ხოლო სამეგრელოს მთავრობა თავის ვაჟს, გიორგის გადააბარა. ეკატერინე მოკლე ხნით დაბრუნდა სამეგრელოში 1857 წელს უტა მიქავას აჯანყების დროს, მაგრამ შემდეგ კვლავ ჩავიდა სანქტ პეტერბურგში. 1867 წელს გაემგზავრა პარიზში თავისი ქალიშვილის, სალომეს სანახავად, რომელიც იყო გათხოვილი თავად აშილ მიურატზე. ეკატერინე ზაფხულს ატარებდა ხოლმე აბანოთა ქალაქ ბედ ჰომბურგში, გერმანიაში, სადაც 1864 წელს 48 წლის დედოფალი ეკატერინე დაუმეგობრდა 21 წლის ბერტა კინსკის, ჩეხური არისტოკრატიული ოჯახის წარმომადგენელს. იმდენად მნიშვნელოვანია ბერტა ფონ ზუტნერის ფიგურა, რომ ამ სტატიაში ცალკე თავიც კი ეძღვნება.

ბერტა ფონ ზუტნერის უცნაური ამბავი

დედოფალი ეკატერინე და ბერტა გაცნობის შემდეგ ძალიან დაახლოვდნენ. ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. 1876 წელს 33 წლის ბერტა დაინიშნა არტურ ფონ ზუტნერზე,

არისტოკრატიული ოჯახის წარმომადგენელზე. ოჯახები მათ შეუღლებას მხარს არ უჭერდნენ. ეკატერინე დადიანმა, რომელიც ხანდაზმულ ასაკში დაბრუნდა სამეგრელოში, წყვილი საცხოვრებლად ზუგდიდში თავისთან დაპატიჟა. მართლაც ქორწილის შემდგომ წყვილი სამეგრელოში გაემგზავრა. ფონ ზუტნერები საქართველოში ცხრა წლის განმავლობაში დარჩნენ და ცხოვრობდნენ გორში, ზუგდიდში, ქუთაისსა და თბილისში. 1885 წლის მაისში, დედოფალ ეკატერინეს გარდაცვალებიდან 2 წლის შემდეგ, მათ დატოვეს საქართველო.

მართლაც გასაკვირია, რომ კარლა სერენას პუბლიკაციებში ბერტა არ არის ნახსენები. იგი სამეგრელოს შესახებ დაწერილ სტატიაში ამბობს, რომ მან წითელი პარასკევი გაატარა ზუგდიდში, სასტუმროების ნაკლებობის გამო დედოფალ ეკატერინესთან. კარლა ასევე აღნიშნავს, რომ რამდენიმე კვირის შემდგომ ადრეულ შემოდგომაზე ბერტამ დედოფალ ეკატერინესთან ერთად დაიწყო მზადება სამურზაყანოში გასამგზავრებლად. დედოფალმა ეკატერინემ ორგანიზება გაუკეთა მისი და ევროპელი სტუმრებისა და თავადების შეხვედრას. ანალოგიურად, ბერტა თავის მემუარებში - (*Memoirs: Records of an Eventful Life*, 1910) მაღლიერებით მოიხსენიებდა დედოფალ ეკატერინეს თავის მეუღლესთან, არტურთან ერთად სამეგრელოში გატარებული დროის გამო, თუმცა არ უხსენიებია კარლა. შესაძლებელია ისინი ერთმანეთს იცნობდნენ და შთაბეჭდილებებიც კი ჰქონდათ ერთმანეთისთვის გაზიარებული კერძო მიმოწერებში, ამიტომაც საჭიროა საარქივო მასალის სათანადო კვლევა.

აღნიშვნის ღირსია არტურის მიერ გამოცემული რამდენიმე “დაკარგული” ნოველა და ნარკვევი კავკასიის და საქართველოს თემაზე. ესენია: *Daredjan: Mingrelisches Sittenbild* (1886); *Ein Demon* (sic) (1895); *Ein Aznaour: kaukasischer roman* (1886); *Der Batono* (1886); *Kinder der Kaukasus* (1890); *Die Tscherkessen: roman* (2 vols; 1896-98); *Daredjan* (1896); *Die Adjaren* (1890); and *Schamyl* (1891). კიდევ

ერთი ნოველა - *Djambek the Georgian*, ინგლისურ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ნიუ იორკში 1890 წელს. ასევე აღსანიშნავია ნოველა: *atscharlebi აჭარლები* (Artur von Suttner and Gwinerpadse; t'bilisi, gamomc'emloba enc'iklopedia adschara, 2007).

საქართველოში ყოფნის დროს როგორც ბერტა, ასევე არტური, აგზავნიდნენ სტატიებს ავსტრიულ და უნგრულ პრესაში. ბერტამ გაავრცელა ცნობა 1884 წელს, რომ “მისი ქმრის კავკასიურ მოთხრობებს და ნოველებს დიდი წარმატება ხვდა წილად.” ეს თარიღი - 1884 წელი მიუთითებს, რომ არტურის ნამუშევრები გამოქვეყნდა (შესაძლოა პერიოდულ პრესაში) მანამდე, სანამ 1890 წლებში წიგნად გამოიცემოდა. ეს ნაშრომები ისევ ელოდებიან დღის შუქის ხილვას, როგორც ფონ ზუტნერის საქართველოსადმი მიძღვნილი დაკარგული ნაშრომები. ეს შრომები ასევე მოიცავს მის მიერ *ვეფხისტყაოსნის* თარგმანის დაუსრულებელ მცდელობას.

კარლა სერენას ცნობილი და უცნობი შთამომავლობა

კარლა სერენას, სამოგზაურო ლიტერატურა ზოგჯერ მოიხსენიებდა როგორც “პიონერ ქალბატონს მოგზაურთა შორის” ან კიდევ “პირველ მოგზაურ ქალს”, რომელმაც საქართველო მოინახულა. მაგრამ ეს არ შეესაბამება სიმართლეს. ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ პირველი მოგზაური ქალი იყო ფრედერიკა ფონ ფრეიგანგი, რომელმაც თავის ქმართან, ვილჰელმ ფონ ფრეიგანგთან ერთად 1811-12 წლებში ვლადიკავკაზის გავლით თბილისისამდე და შემდეგ ერევნიდან - თაბრიზამდე იმოგზაურა.

ვილჰელმს *Conseiller de Cour*-ის წოდება ჰქონდა მინიჭებული და რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის დიპლომატიური მისიით მოგზაურობდა. ზამთარში მოგზაურობის სიძნელესა და საფრთხეებს ემატებოდა ის, რომ წყვილს თან ახლდა ორი მცირეწლოვანი შვილი: ანდრე და ეკატერინე. სამწუხაროდ, მოგზაურობის გაუსაძლისმა

პირობებმა ახალდაბადებული ეკატერინეს სიცოცხლე შეიწირა. ფრედერიკამ საინტერესო პუბლიკაცია გამოსცა თავის ძნელ და ტრაგიკულ მოგზაურობაზე: *Letters from the Caucasus and Georgia: To Which Are Added The Account of a Journey into Persia in 1812* (ინგლისურ ენაზე, 1823 წ.)

შემდეგი პიონერი მოგზაური ქალბატონი, რომელიც ხანგრძლივი დროით მოგზაურობდა საქართველოში, თითქმის უცნობია. აწ უკვე განსვენებულმა ინგლისელმა ისტორიკოსმა, დოქტორმა დ.მ. ლანგმა, რომელიც გახლდათ საქართველოს ისტორიის ნაყოფიერი მკვლევარი, აღმოსავლეთ და აფრიკისმცოდნეობის სკოლის *ბიულეტენში* 1990 წელს გამოაქვეყნა ცნობები ანა ლისტერის შესახებ. იგი წერილში აღნიშნავდა, რომ ქ-ნ ვივიან ინგჰამი 1965 წელს მას ატყობინებდა სამუშაოს შესახებ, რომელიც ეხებოდა იორკელი ანა ლისტერის პირად წერილებს. ინგჰამი აცხადებდა:

„[ანა ლისტერი] გახლდათ დაუმრეტელი ენერჯის მოგზაური. იგი 1840 წელს რუსეთში მოგზაურობის შემდეგ გარდაიცვალა ქუთაისში. მან მოგზაურობა 1840 წლის თებერვალში დაიწყო და მეტწილად მისი მარშრუტი გახლდათ გაყინული ვოლგიდან - მდინარე ასტრახანამდე. იქიდან კი - ურმითა და კიდევ ღმერთმა იცის, როგორ, თბილისში ამოჰყო თავი ... ისეთი წვრილმანები, როგორცაა საქონლის ფასები, აგრარული პროდუქტები და ა.შ. უფრო ნათლად წარმოჩენილია მასთან, ვიდრე დიუმას სამოგზაურო წერილებში, რის გამოც ეს ორი მოგზაური ძალზედ საინტერესო შედარებას გვთავაზობს.“

დ. მ. ლანგი გვატყობინებს, რომ ანა ლისტერი და მისი თანამგზაური ანნ ვოკერი საქართველოში დარიალის ხეობიდან შემოვიდნენ, საიდანაც სამხედრო გზის გავლით თბილისში ჩამოვიდნენ. იმ დროს გუბერნატორი გოლოვინი თბილისში არ იმყოფებოდა და მოგზაურები მისმა ცოლმა თბილისში გავლენიან ხალხთან დააკავშირა, რომელთაც ანა მოიხსენიებს თავის ნაწერებში. ლანგი გვატყობინებს, რომ “ანაზე პატრიოტ ალექსანდრე ჭავჭავაძეს დიდი

შთაბეჭდილება მოუხდენია”. ასევე გაუცნია მისი ქალიშვილები - ნინო და ეკატერინე (ეკატერინე გახლდათ ის ქალბატონი, რომელმაც მომავალში სამეგრელოს მთავრის ტიტული მიიღო და იყო ახლო მეგობარი კარლა სერენასი და ბერტა ფონ ზუტნერის). თავის სტატიაში ლანგი აღნიშნავდა, რომ ანას ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი გაუცნია, მათ შორის - ინტელიგენციის, სამხედროების და სხვ. ანა თავის წერილებში სხვადასხვა საკითხებს შორის შამილისა და რუსეთის არმიის ძალასა და სიმტკიცეზე საუბრობდა. მან მრავალი სალოცავი და მონუმენტი მოინახულა, აღწერა მოგზაურობის მანძილები და პირობები და გააკეთა მრავალი ჩანახატი.

1849 წლის ივნისში ანამ ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდეგ კი ზუგდიდში იმოგზაურა. აქ მას უცნაურმა ტკიპამ უკბინა, ნაკბენი გაუმიზეზდა და 23 სექტემბერს ქუთაისში დაბრუნებული გარდაიცვალა. მან საქართველოში დაახლოებით ექვსი თვე დაჰყო.

დასაანანია, რომ ანა ლისტერის საქართველოში მოგზაურობის დღიურები (ლანგის ცნობით სულ 400 ფურცელი) ჯერაც არ დაბეჭდილა. ლანგი წერილებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, მათ მნიშვნელოვან საინფორმაციო წყაროდ მიიჩნევს. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, კულტურული ცხოვრება, მოგზაურობა და ტოპოგრაფია, არქიტექტურა და არქეოლოგია, სამხედრო გონებამახვილობა და რელიგიური კვლევები - ეს არის ის არეალი, რომელსაც ყურადღებას აქცევს ლანგი ანა ლისტერის წერილებში. იგი 1840 წელს პირველი წერილობითი წყაროა რუსეთის საქმიანობისა და საქართველოს ისტორიის შესახებ.

მეოთხე პიონერი მოგზაურიც იმსახურებს ყურადღებას. ეს გახლავთ თავგადასავლების მოყვარე ოდეტ კეუნი (1888-1978), წარმოშობით ჰოლანდიელ-თურქი, დაიბადა და გაიზარდა კონსტანტინოპოლში. მან 1919 წელს ხანგრძლივად იმოგზაურა საქართველოს დემოკრატიულ რეპუბლიკაში. პროფესორი სტივენ ჯონსი მის წიგნზე - (*In*

the Land of the Golden Fleece: Through Independent Menchevist Georgia (1924)) აღნიშნავს: "... ღირსშესანიშნავი ეთნოგრაფიული ნამუშევარი საქართველოს რეგიონებზე ქალური ნააზრევის ჩანართებით"- კვლავ ინარჩუნებს თავის ღირსებას, როგორც საინტერესო და საფუძვლიანი აღწერა საქართველოს ახალწარმოქმნილი რესპუბლიკისა და მისი რეგიონების დამახასიათებელი თვისებებისა, პიროვნებებისა და მათი მახასიათებელი თვისებების. ო. კეუნის შემდგომი ფრიად მნიშვნელოვანი წიგნი სახელად - *Prince Tariel: A Story of Georgia* (1925) - იყო პოლიტიკურ-ჯამუშური ხასიათის რომანი. თუმცა გამოცემის თანავე ეს წიგნი მოხსნილ იქნა, რადგან ბრიტანელმა არმიის ოფიცერმა ცილი დასწამა კეუნს ბოლშევიკთა აქტივისტობაში, რისთვისაც იგი 1921 წელს კონსტანტინოპოლიდან გააძევეს. ამ წიგნის მხოლოდ რამდენიმე ნიმუშიაა შემორჩენილი, რადგან შემდგომ სასამართლომ წიგნის უკან დაბრუნების ბრძანება გამოსცა. ამჟამად წიგნის ასლი მსოფლიოს მხოლოდ ხუთ ბიბლიოთეკაში მოიპოვება.

დასასრული

ეს სტატია წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ შესავალ ნაწილს ოთხი პიონერი მოგზაური ქალბატონის საქართველოში მოგზაურობის და მათი პუბლიკაციების შესახებ. მოგზაურთაგან უთუოდ კიდევ მრავალი ესტუმრებოდა საქართველოს, ვინც დავიწყებას მიეცა ან მათზე არსებული მასალები სრულიადაც დაიკარგა. იმედი მაქვს, რომ ეს სტატია გადმოსცემს გარკვეულ ინფორმაციას ამ მოგზაური ქალების ღირებულებების, მრავალფეროვნებისა და სამწერლო ინტერესების შესახებ.

მოგზაურთა ჩანაწერები ხშირად გვევლინება მნიშვნელოვან წყაროებად სხვადასხვა ქვეყნებისა და მათი რეგიონების შესახებ. ხშირად მოგზაურები გვთავაზობენ საჭირო დაკვირვებებსა და რემარკებს ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ნიუანსებზე. ისტორიის გადმოსახედიდან ამ საკითხებს უდაოდ უკავიათ

მნიშვნელოვანი ადგილი პოლიტიკის, დემოგრაფიისა და ეკონომიკის შემდეგ. ზოგადად პიროვნება, რომელიც არჩევს იმოგზაუროს გააზრებულად და მიზანმიმართულად, უფრო აღიარებულია, ვიდრე გამგლელი მოგზაური, ადამიანი ვისაც მიზნად აქვს დასახული ა პუნქტიდან ბ პუნქტში მოხვედრა, რაც შეიძლება სწრაფად და კომფორტულად. უნდა ითქვას, რომ მოგზაურ ქალბატონთა დაწერილი არაოფიციალური, პირადი მოგზაურობების ანგარიშები შეიცავენ განსხვავებულ ინტუიციურ შორსმჭვრეტელობას, ვიდრე მოგზაურ მამაკაცთა დაწერილი ანგარიშები.

ისეთი ქვეყნების შესახებ, როგორცაა საქართველო და რომელზეც ვრცელი ისტორიული ცნობები ნაკლებად მოიპოვება, მოგზაურთა ჩანაწერები მნიშვნელოვანი შუქის მომფენია. მათი ღირებულება, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია მოგზაურთა გამჭრიახობასა და პატიოსნებაზე, რადგანაც ხშირად რელიგიური, ეთნიკური ან პოლიტიკური მიკერძოება შედეგად იძლევა მრუდე რეპორტაჟს. მრავალ ასეთ მონათხრობს გააჩნია მხოლოდ დროებითი “საზოგადო” აღიარება. ისინი, შესაძლოა, ერთხელ დაიბეჭდოს, მაგრამ იშვიათად თუ მეორედ გამოიცეს. აქედან გამომდინარე აუცილებელია, რომ ღირებული წყაროები გადაიხედოს თავიდან და დაიბეჭდოს.

შენიშვნა

გამომცემლობა *ნარიყალამ* თარგმნა კარლა სერენას 11 სტატია, რომლებიც ჟურნალ *Le Tour du Monde*-ში 1880 წელს დაიბეჭდა. მათი ხელახალი გამოცემა ყველა ორიგინალური ილუსტრაციის დაბეჭდვით, ინგლისურ ენაზე ანოტაციების და ფაქსიმილურ ფორმატში განთავსებით მოხდება 2015 წლის ბოლოსთვის.

თარგმანი ავტორის ინიციატივით შესრულებულია ნიუ იორკში ლევან კიკნაძის მიერ

ბიბლიოგრაფია:

1. დროება, N 63, 25 მარტი, 1882
2. *Frank Leslie's Sunday Magazine*, Vol. 14, No., 6, December 18
3. *Illustrazione Italiana*, Vol. X, No. 3 (1882), Vol. XI, No. 37 (1884)
4. *Le Tour du Monde*. No. 1035 (1880), Nos. 1067-68 (1881), Nos. 1118-21, 1135-36 (1882), Nos. 1224-25 (1884)
5. Pizzagalli, D. *Il Viaggio del Destino: Carla Serena da Venezia al Caucaso* (Rome, 2006)
6. Scriboni, M. "Il viaggio al femminile nell'Ottocento," in *Annali d'italianistica*, 14 (1996)
7. Serena, C. *Mon Voyage: souvenirs personnels*. (Vol. I: *De la Baltique à la Mer Caspienne*) (Paris, 1881)

Fredrika von Freygang, Odette Keun, Anne Lister:

1. Freygang, F. von *Letters from the Caucasus and Georgia* (London, 1823)
2. Keun, O. *In the Land of the Golden Fleece: Through Independent Menchevist Georgia* (London, 1924 *Prince Taniel* (London, 1925)
3. "Libelled Officer," O. Keun's Trial, London. In *Evening Post* (23 February, 1928), Putanga, NZ
4. Lang, D. M. "Georgia in 1840: The Lister Diaries." *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, Vol. 53, No. 1 (1990)
5. Suttner, B. von *Memoirs of Bertha von Suttner: Scenes from an Eventful Life* (Boston, 1910)

კარლა სერენას ილუსტრაცია ერთვის სტატის ინგლისურ დედანს.

A Neglected Pioneer: Carla Serena (1820-1884)
*(Travels in Imereti, Mingrelia, Samurzakano, Abkhazia, Kakheti, Guria,
and the districts of Gori, Borjomi, and Akhaltsikhe,
1876-77 and 1881)*

Peter Skinner

An American historian, British by origin, the author of the book translated into eight European languages – “World Trade Center”. His book “Georgia: The Land Behind the Caucasus” was published in the US in 2014. He lives in New York.

Key Words: *Georgia, Calra Serena, Suttners, Vivian Ingham, Anne Lister, Odett Keun.*

Introduction

The newspaper *Droeba* (No. 63, 25 March 1882) carried an article stating that:

A famous woman traveler, Carla Serena, traveled in our country twice. This active woman, who so bravely traveled through our region and barren places of Persia, has prepared a book extensively describing her travel in the Caucasus with photos, which will be published in Paris. This is what one French newspaper wrote about Carla Serena: “A tireless woman traveler, Carla Serena, has recently arrived into Paris from the Caucasus and brought with her numerous photos of the nature and people of the Caucasus; these photos will be included in her literary work *Caucasus* which she has already started to publish.”

This woman was received with great honor in Europe: the King of Italy had a large gold medal cast for her. The London Geographic Society asked her to deliver a public lecture about her travels. Her two interesting literary works – *From the Baltic Sea to the Caspian Sea* and *A European Woman in Persia* – were translated into Italian.

Madame Carla Serena and her travels certainly deserve more than this brief mention. She remains an elusive figure. There may be more extensive presentations of her in Georgian publications, but these do not appear to have been referenced in any English-language work. In fact, the few English-language references to her are minimal, incomplete and usually inaccurate. Carla Serena's travels in Georgia published in French between 1880 and 1884 in a series of very interesting, detailed and well-illustrated articles, have not, to the best of my knowledge, been translated into English (or Georgian) or republished in French. However, *Droeba's* brief mention of Carla Serena, lacking virtually all needed detail, at least provides a starting point for discussing (as this article will): (1) Who was Carla Serena? (2) When and where did she travel in Georgia? (3) Carla Serena's travel narratives, (4) The importance of her account, (5) Unexplored aspects of Carla Serena's travels in Georgia, (6) the strange case of Bertha von Suttner, and (7) Carla Serena's known and unknown predecessors.

(1) Who was Carla Serena?

Only with the publication of Daniela Pizzagalli's biography *Il Viaggio del Destino: Carla Serena de Venezia al Caucaso* (2006) could basic information on Carla Serena be conveniently searched for in one place. Pizzagalli presents valuable information on Carla Serena's birth name, nationality, early life, marriage, European migrations, foreign travels, and final years. However, Pizzagalli has had to draw heavily upon Carla's travel articles (published between 1880 and 1884) and two volumes titled *Mon Voyage: Souvenirs personnels*, both published in 1881. In Vol. I of *Mon Voyage*, Carla Serena adds further material on her travels in

Georgia. But in neither her articles nor in *Mon Voyage* does Madame Serena expand upon her personal life. Nor have other sources come to light: Pizzagalli's bibliography lists only nine sources other than Carla Serena's own writings. Moreover, these nine books -- if their titles are reflective of their content -- briefly treat Carla Serena as only one among other 19th-century women travelers. These sources emphasize female endeavor and participation in travel rather than the actual travel experiences themselves. Much more information is needed before we can discuss Carla's personal and family life in any detail -- or establish full and accurate routes and chronologies for her pioneering travels. For the realization of this, contemporary reportage from the Georgian side (if any exists!) needs to be unearthed.

The basic facts about Carla Serena are as follows. She was born in 1820, in Antwerp, Belgium, and was registered as Caroline Hartog Morgenstein. She was brought up in France. In 1847 she married Leone Serena, a wealthy Venetian shipping and insurance broker. In 1849 Serena was expelled from Venice for his support of and participation in the revolutionary faction opposing the Austrian rule of Venice and its region. This had led to an abortive uprising in 1848. Exile took the Serenas, via sojourns in Switzerland, Marseille, Antwerp and Paris, to London, where they settled in the 1850s. Leone Serena was rich and Carla was socially ambitious. The couple lived well, and Carla began holding a salon. She also gave birth to five children: Achille (1850), Lelia (1851), Arthur (1852), Maria (1854), and Olga (1858). Despite her responsibilities toward this quintet of young lives, Carla found time to write articles for the *Précurseur*, an Antwerp newspaper, signing her articles Carla Serena. In 1873 the paper sent Carla to Vienna to report on the Universal Exposition, whose theme was Culture and Education.

The Exposition was a turning point in Carla's life. On August 1, 1874, at the age of 54, Carla left London, returning five years later in 1879. She visited Sweden, Russia, Turkey, Egypt, the Holy Land, Syria, Lebanon and Greece. In the third week of November 1875 she was in Constantinople, with five weeks in hand before the New Year, which she intended to spend at home in London. She could return to

England via Vienna or via Georgia, crossing the Greater Caucasus and Russia. Choosing the latter route, she set off for Poti, her nearest entry point for Georgia. She then traveled almost without stopping until her death in Greece in August 1884. Of her children's lives the record offers little except that her son Arthur founded professorships at a number of universities in England for the teaching of Italian, and at a number of universities in Italy for the teaching of English. Arthur, like his father before him, was a wealthy shipping broker. He also was very active in philanthropic institutions, and held many voluntary service positions in London.



Mme Carla Serena. — Dessin de A. Sirouy, d'après une photographie.

(2) When and where did Carla Serena travel in Georgia?

In November 1875, General Ignatieff, the Russian consul in Constantinople, put Carla in touch with a Russian ship's captain, with whom she sailed for Georgia, planning to return to England by December 31st, 1875. After a challenging voyage, with a call at Trebizond, the *Vesta* docked in Batumi. Storms caused a delay of 12 days before the *Vesta* could sail on to Poti, were another 12 days of storms prevented her rail trip from Poti to Kutaisi for Tbilisi,

where she arrived one month after leaving Constantinople. On arrival (late December 1875), Carla was received by Grand Duke Michael Nicolaevich, the Viceroy of the Caucasus. He encouraged her "to visit all she could of the various Caucasian provinces and was good enough to recommend her to the various authorities." Carla makes it quite clear that throughout her ensuing travels she received official recognition and assistance, though she names only very few

of the people involved. Clearly, the planned year-end return to London was no longer on schedule. . . .

Carla began her travels within Georgia in January 1876, going first to Imereti, with a stay in Kutaisi, then on to Mingrelia, with a stay in Zugdidi, and on to Samurzakano and Abkhazia. Carla's reportage lacks a clear chronological spine, but late in 1876 she appears to have gone by sea from Sukhumi to Yalta and the Crimea. Thereafter (and again she provides no dates), she traveled via Simferopol, Rostov and Vladikavkaz to re-enter Georgia via the Darial Gorge. She then went down the Georgian Military Highway to Tbilisi. She reports being in Tbilisi in January 1877, preparing to leave for Kakheti. After three months of travel throughout Kakheti she returned to Tbilisi. She then accepted an invitation to visit Guria, returning via Gori, Borjomi and Akhaltsikhe to arrive in Tbilisi in October or November.

Carla makes almost no mention of the Russo-Turkish War that had broken out on 24 April 1877 and continued to 3 March 1878. The war's most significant element in the Caucasus was Turkey's invasion of Abkhazia, followed by the destruction of much of Sukhumi and the temporary occupation of parts of the province. As Carla was already traveling in Eastern Georgia in 1877, the war would not directly impede or affect her. However, an American magazine that in 1882 carried an article on Carla's travels "between the Caspian and Black seas" stated that "Whilst there the Russo-Turkish War broke out, and the intrepid lady had many opportunities to distinguish herself by deeds of valor and abnegation in the disturbed districts, tardily but fully appreciated by Emperor Alexander II and the Grand Duke Michael."

This report appears to be inaccurate in stating that Carla performed her deeds in the "disturbed districts"; she was in Tbilisi and Kakheti from January to March 1877, and thereafter on her visit to Guria, with her return via Gori, Borjomi and Akhaltsikhe. As she mentions the medical and support services that the Vicereine, the Grand Duchess Olga Federovna, was providing for wounded soldiers, it is likely that she assisted this Tbilisi-based

effort. At some point in the autumn of 1878, Carla left Georgia and wintered in Tehran.

Although Carla made only the most passing reference to the war in her articles (published in 1881, 1882, and 1884) describing her travels in Mingrelia, Samurzakano and Abkhazia, she discusses it extensively in *Mon Voyage: Souvenirs personnels – De la Baltique à la Mer Caspienne*, published in 1881 (see below). However, she makes no mention of her war work.

In 1881 Carla made a second visit to Georgia, leaving Vienna on October 16 and arriving back on December 23. She planned to attend the Vienna Exposition, which in fact was delayed by a disastrous fire that destroyed the meeting hall on December 11. The purpose of this brief second trip was to take the photographs she needed in order to illustrate her as yet unpublished articles on her 1876-78 travels. To do this, she had taught herself photography, and spent three days in Kakheti and a month in Abkhazia in October-November 1881, taking the required photographs.

(3) Carla Serena's publications

Despite the challenges of her journeys, Carla must have made the notes from which she later wrote 11 vivid and well-illustrated 16-page articles. The French magazine *Le Tour du Monde* published these articles in a sequence that followed that of her journeys. The first article (published in 1880) covered Imereti; numbers 2 and 3 (published in 1881) covered Mingrelia; 4, 5, 6 and 7 (published in 1882), covered Samurzakano and Abkhazia; 8 and 9 (published in 1882) covered Kakheti; whereas 10 and 11 (published in 1884) covered Guria, Gori, Borjomi and Akhaltsikhe. Four of the eleven sections of *Mon Voyage*, (totaling 230 pages) discuss the Caucasus and Georgia; they are *The Caucasus before the War*; *Georgia from the Perspective of the War*; *To the Caucasus during the War*; and *Return to the Caucasus*. The book is more broad-brush and detached than the articles; it is not illustrated though her articles were – and lavishly so.

Four broad questions about Carla's articles and book merit research: (a) Given the historical, folkloric, geographical and personal detail, together with background observations that Carla provides, we can usefully ask what material she gathered while traveling, and what came from subsequent research? And as to research, what sources and/or correspondents – Georgian, Russian and other – did Carla draw upon?; (b) To what extent did Carla's second journey (1881) enable her to add to the narratives of her first journey (1876-78). (She indicates in several places that she is interweaving her two accounts); (c) What was the critical reception of her articles? She was, after all, the recipient of gold medals from the kings of Sweden and Italy and had her work presented at the geographical societies of London, Paris, and Vienna, of which she was a member, and (d) What are the significant commonalities and differences between Carla's articles and her book? Further research will be required to elucidate these matters.

Most important of all is for us to learn *what* the Georgian press, intellectuals, and social leaders published about Carla Serena and her travels. Any relevant records of Princess Catherine of Mingreliawould be of particular interest. Surely Carla received more coverage than a single passing reference in *Droeba*, March 25th, 1882. Were there no extensive articles published in the Georgian or European press following her death in Greece in July 1884? Research is clearly needed in the Georgian, Russian and European archives.

(4) The importance of Carla Serena's travel narratives

Carla Serena's work is important for a number of reasons. First, she traveled privately, not officially or in any organized group, with only a minimal escort (usually a guide and a porter). Carla traveled as roads (or the lack of them) and terrain dictated; often on horseback though at times by *arba*, *tarantass* or *peredkladnaja* or by rail. Second, she was adventurous, frequently taking significant risks such as a Black Sea voyage in the stormy

winter weather, crossing rivers tied to her horse as it swam over, risking dangerous mountain ascents and exploring unsafe ruins. Third, she frequently left the beaten track (which seldom merited the name of 'road') to visit remote churches and chapels and to stay in village homes that often could offer only the most limited comfort. Though in her mid-fifties, she faced the numerous hardships she encountered with cheerful good humor. Fourth, she had an acute eye for the daily life of different classes – princes, priests, peasants, ship's captains, physicians, horse-thieves, bandits, café keepers and others; all receive descriptive comment that reflects Carla incisive curiosity and acute eye. Fifth, Carla notes and comments on change be it the new railways that connected Batumi and Poti to Tbilisi and to each other, the great Indo-Britannic telegraph line that passed through Georgia, or a model town or scientific agriculture. Sixth, she is an energetic commentator on Georgian history and folklore – though her findings are not always accurate. In summary, Carla's narrative reflects "being there" rather than merely "passing through," just as her participation in family life, feasts and celebrations confirm that she "lived for the moment," to use a contemporary term.

As a close observer, Carla was often lavish in praise of the natural wealth and scenic beauty of the Georgian regions she explored, and also the generosity of the people she met, of whatever social class. However, she could be devastatingly critical where she found hygiene unnecessarily deficient or lacking. Such comment should not cause distress; in the 1870s and 1880s conditions among the lower middle class, small-holders and peasants were much the same throughout rural Europe – and drew similar comment from travelers.

Carla's range of interests and narrative skills call to mind those of a small number of earlier Roman Catholic missionaries whose vivid narratives, though highly acclaimed, have not yet been translated into English. They include Don Pietro Avitabile (in Mingrelia during 1626-1638), Arcangelo Lambertini (1633-1649), Don Christoforo de Castelli (1628-1654), and Joseph-Marie Zampi

(1645-1668). In addition to two books, Castelli produced over 500 extremely interesting sketches, covering every aspect of regional life – churches, farmsteads, recreations, portraits, costumes, and more. Although Mingrelia and religion were the primary concerns of these writers, their narratives certainly extended beyond the province and the faith; in all, they touch upon a very broad range of topics.

To the foregoing quartet we must add the flamboyant French-born Jean Chardin, a wealthy merchant and dealer in precious stones who spent time in Mingrelia in 1672-73, en route to Tehran. He published and republished his voluminous narratives in several different editions, but a 1686 issue includes his travels and experiences in passing through Mingrelia en route to Tbilisi and Persia. His work includes the first panoramic drawing of Tbilisi. Later writers include Catherine the Great's savants – Guldenstädt, Klaproth and others, followed much later by Dubois de Montpéreux and Alexandre Dumas. Though Carla wrote later, at a time of great change, and with a somewhat different purpose, she is a worthy addition to the select company named above – our primary historians of life in Georgia.

One great strength of Carla's work is the lavish illustration she included in it. All eleven articles were profusely illustrated with line drawings made from photographs or, occasionally, with original drawings. Each contains three full-page illustrations and at least seven smaller ones. The illustrations capture a very wide range of subjects – men, women, and children of every rank from prince to pauper, castles, churches, the homes of the wealthy and the poor, family groups and domestic scenes, feasting and dancing, weddings, and panoramic views of mountains, the countryside and towns. This range of subjects, together with the very high quality of the original photography, makes the illustrations of continuing interest and great historical value.

Carla's primary resource as a photographer was the then 30-year-old Dimitri Ermakov (1848-1916), resident in Tbilisi. He was

a keen ethnographer and was to become a giant among 19th-century photographers; on his death he left some 25,000 photographs, some 15,000 glass-plate negatives, and over 5000 albums – a treasure-trove for any student of Georgian history, life and culture. Whether Carla and Dimitri ever met, whether she used available photographs or commissioned needed ones, and exactly when the photographs were matched to the related articles, remain to be researched.

It is to Carla Serena's great credit that between her 1876 and 1881 trips to Georgia she became a self-taught photographer meeting the need to illustrate her travels of 1876-77 in Samurzakano and Abkhazia in order to illustrate her 1876-77 travels. Her mastery and use of her new skills deserves recognition; she set off on dangerous photo-shoots in the mountainous wilds of Abkhazia and obtained first-class results. A third photographer features (there may have been more), but an illustration caption that simply reads "after a photograph" leaves us with no clue as to the man behind the camera. Undoubtedly, research in the Georgian National Museum (where the work of Ermakov and his contemporaries and successors is held), would reveal much, and likewise research in the Georgian National Library might enable us to develop a comprehensive map and detailed chronology of Carla's travels.

Primarily the careful narrator of colorful scenes – and willing to provide historical details on places visited and biographical details on persons met – Carla does not provide us with all we need to fully define her travels.

(5) Unexplored aspects of Carla Serena's travels in Georgia

When the reader steps back from the richness, excitement and colorfulness of Carla's narratives and begins to consider the exact route and chronology of her travels, her financing, funding and contacts, unanswered questions arise. As yet there is no definitive, printed chronology of her journeys; Carla indicates (or

the reader can generally work out) the year and season, but she seldom dates events by the month or the day.

A clearly defined chronology is not the only item lacking in Carla's accounts of her travels. She does not discuss the full range of contacts that Viceroy Mikhail Nicolaevich provided her with, mentioning only a very view by name and position. She does, however, dwell upon the hospitality that Princess Catherine Dadiani of Mingrelia offered her. This remarkable woman, who was one of the three daughters of Prince Alexander Chavchavadze, was born in 1816. In 1838 she married David Dadiani, the ruler of Mingrelia; his death in 1853 left her as Regent of Mingrelia. In 1856, following the Crimean War (in which Catherine played an active role in the defense of Mingrelia), she moved to Russia, ceding her rights in Mingrelia to her son George. She made a brief return to Mingrelia in 1857, at the time of Uta Mikava's rebellion, but then moved to St Petersburg, with the Russian annexation of Mingrelia already underway. In 1867 she moved to Paris to join her daughter Salomé, married to Prince Achille Murat. She spent her summers in the spa town of Bad Homburg, in Germany.

Here, in 1864, the 48-year-old Princess Catherine began a social friendship with Bertha Kinsky, the 21-year-old daughter of a minor Czech aristocratic family. Such is the importance of Bertha von Suttner that she merits a separate section of this article.

(6) The strange case of Bertha von Suttner

